სპორტი ბაკურიანი

№5 (782)
ოთხშაბათი
12 თებერვალი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.

„ნაცები“ პოლიტიკას სამუდამოდ უნდა ჩამოცილდნენ

არმაგე-დოი ჩაფლავდა...

თბილისი გადაიქცევა სტრატეგიულ შიდა კვანძად, რომელიც შავ ზღვაზე საქართველოს პორტებს დააკავშირებს ფართო რეგიონის სავაჭრო ქსელებთან

ჩემთვის დიდი პატივია, რომ თქვენ მოგმართავთ დღეს.

გულთბილად მოვიკითხავ მის უდიდებულესობა შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანს, არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტს; მის უდიდებულესობა შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაკტუმს, არაბთა გაერთიანებული საამიროების ვიცე-პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და დუბაის მმართველს, ასევე არაბთა გაერთიანებული საამიროების მთავრობის წევრებს. თქვენი გულუხვი სტუმართმოყვარეობა და მტკიცე ერთგულება არა მხოლოდ ამ სამიტის ჩატარებას უწყობს ხელს, არამედ მას მართლაც შთამბეჭდავ და გავლენიან შეხვედრად აქცევს.

მხოლოდ ღია და უწყვეტი საუბრით შეგვიძლია ურთიერთგაგების გაღრმავება და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება ყველას საკეთილდღეოდ. აქ მყოფ გამოჩენილ მონაწილეებს აქვთ ცოდნა და გავლენა, რათა წარმართონ მოვლენები, წაახალისონ პოზიტიური ცვლილებები და შეიტანონ წვლილი მეტად უსაფრთხო და კეთილდღეობით სავსე მომავალში.

რთული გეოპოლიტიკური გარემოს მიუხედავად, ჩვენი მთავრობა მტკიცედ ერთგული რჩება ეკონომიკური ზრდის, სოციალური თანასწორობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პრინციპებისადმი საქართველოში. ჩვენი ერთგულება ძლიერი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ხელშეწყობისადმი არა მხოლოდ ქვეყნის შიდა განვითარებას უწყობს ხელს, არამედ ქმნის მყარ საფუძველს საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოებისთვის.

ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული პარტნიორობა გვაკავშირებს არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან, ქვეყანასთან, რომელთანაც გვაერთიანებს საერთო ინტერესები და მიზნები. ჩვენი ხედვები და საერთო მისწრაფებები მყარ საფუძველს ქმნის თანამშრომლობისთვის, რომელიც აძლიერებს ორმხრივ ურთიერთობებს და ხელს უწყობს გლობალურ პროგრესს.

საქართველო, ისევე როგორც არაბთა გაერთიანებული საამიროები, სტრატეგიულ პოზიციას ფლობს და გლობალურ გზაჯვარედინად გვევლინება. საქართველო წარმოადგენს მნიშვნელოვან კარიბჭეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ხოლო არაბთა გაერთიანებულ საამიროებს საკვანძო როლი აქვს მსოფლიოს ძირითადი რეგიონების დაკავშირებაში. ეს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ორივე სახელმწიფოს აყალიბებს საერთაშორისო ვაჭრობის, ლოგისტიკისა და გლობალური კავშირების მნიშვნელოვან ცენტრად, რაც აძლიერებს ჩვენს პარტნიორობას და ახალ შესაძლებლობებს ქმნის თანამშრომლობისთვის.

ჩვენი პარტნიორობის ერთ-ერთი ბოლო წარმატებული მაგალითია იმ მემორანდუმის ხელმოწერა, რომელიც უპრეცედენტო ინვესტიციას ითვალისწინებს საქართველოში: 6 მილიარდი დოლარის კაპიტალდაბანდებას **EMAAR**-ჯგუფი და **Eagle Hills** განახორციელებს.

ეფექტური მმართველობისა და წინდახედული პოლიტიკის შედეგად, საქართველომ 2021-2023 წლებში მნიშვნელოვან, 9.7 % ეკონომიკურ ზრდას მიაღწია საშუალოდ.

წინასწარი შეფასებით, 2024 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 9.5% შეადგინა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოს ყველაზე სწრაფი ეკონომიკური ზრდა ექნება საშუალოვადიან პერსპექტივაში რეგიონისა და ევროპის ქვეყნებს შორის. საქართველოს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) თანაფარდობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსგავს ქვეყნებს შორის და 2022-2024 წლებში საშუალოდ 6%-ს აღემატება.

რეკორდული მაჩვენებლები დაფიქსირდა საქონლის ექსპორტსა და საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში. 2024 წელს საქონლის ექსპორტი 7.8%-ით გაიზარდა და 6.6 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო ტურიზმის შემოსავლებმა 7.3%-იანი ზრდა აჩვენა და ისტორიულ მაქსიმუმს - 4.4 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ამასთან ერთად, საქართველო ინარჩუნებს ინფლაციის ერთ-ერთ ყველაზე დაბალ დონეს უფრო ფართო რეგიონში, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს მის ეკონომიკურ სტაბილურობას.

დაბალი და სტაბილური ინფლაცია ძლიერ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, შესაძლოა, განპირობებული იყოს პროდუქტიულობისა და პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გაუმჯობესებით.

ჩვენი მთავრობის პირობებში, ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბიზნესისთვის მეგობრული გარემოს შექმნასა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებაში.

საქართველოს ხელსაყრელი სავაჭრო ჩარჩო საშუალებას აძლევს კომპანიებს, ისარგებლონ 2.3 მილიარდ მომხმარებლიანი ბაზრით, რასაც არ ახლავს საბაჟო თუ იმპორტის ტარიფები.

მსოფლიო ბანკის ბიზნესგარემოს კვლევით, საქართველო 2024 წელს 50 ქვეყანას შორის პირველ სამეულში აღმოჩნდა სინგაპურთან და ესტონეთთან ერთად. ამ კვლევისა და რეიტინგის მიზანია კერძო სექტორის განვითარებისათვის ბიზნესგარემოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება.

მსოფლიო ბანკის 2023 წლის სამეწარმეო კვლევით შედეგებით, საქართველოს ბიზნესგარემო თითქმის ყველა ასპექტში უკეთესია როგორც მსოფლიოს, ისე ევროპის და ცენტრალური აზიის საშუალო მონაცემებთან შედარებით.

გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, საქართველო რჩება მსოფლიოს ყველაზე დაბალი საგადასახადო წნეხის მქონე მესამე ქვეყანად, 9.9%-ით.

ფრეიზერის ინსტიტუტის 2024 წლის მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში 21-ე ადგილზეა, წინ უსწრებს ევროკავშირის 19 წევრ სახელმწიფოს და უპირობო ლიდერად გვევლინება ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის, ისევე, როგორც ფართო რეგიონში. გარდა ამისა, საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობის მიერ ჩატარებული სახელმწიფო ბიუჯეტის ღიაობის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს პირველი ქვეყანაა საბიუჯეტო გამჭვირვალობის ნიშნით.

საინვესტიციო პოლიტიკის შეფასების საფუძველზე, საქართველო პირველად მოექცა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის **(OECD)** უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შეუზღუდავი რეგულირების ინდექსში და კვლავ მე-8 პოზიცია დაიკავა მსოფლიოს ყველაზე ღია ეკონომიკებს შორის ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

ჰერითიჯის ფონდის 2024 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო წინ უსწრებს 19 სახელმწიფოს ევროპაში.

მსოფლიო სამართლის პროექტის 2024 წლის ინდექსში, საქართველო პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. საშუალო შემოსავლის მქონე 41 ქვეყანას შორის საქართველო პირველ შვიდეულშია. რაც შეეხება ანტიკრიმინოგენურ ინდექსს, საქართველო ევროპაში მე-8, ხოლო მსოფლიოში 20-ე ადგილზეა 2024 წლის მონაცემებით, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა.

საქართველო ბუნებრივ კავშირს წარმოადგენს ერთი მხრივ ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიას შორის, ხოლო მეორე მხრივ ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიასთან. საერთაშორისო დაკავშირებადობა და მარშრუტები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საქართველო გახდეს მთავარი კვანძი და ციფრული ჰაბი ევროპა-აზიის მიმართულებით. შავი ზღვით ევროკავშირთან საზღვრის გაზიარებით, საქართველო წარმოადგენს ერთადერთ გზას საშუალოვადიან პერიოდში, რომლითაც მონაცემთა დერეფნების განვითარება შეუძლია ევროპას ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიას შორის, ხოლო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში - ევროპას, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას შორის.

საქართველოს მთავრობა მიესალმება ინვესტიციებს არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან და მსხვილი დეველოპერული და ლოგისტიკური კომპანიების დაინტერესებას საქართველოში ინვესტირების თვალსაზრისით. აბუ-დაბის პორტების გაერთიანებამ ხელი მოაწერა მემორანდუმს საქართველოსთან თბილისში მშრალი პორტის შესაქმნელად, ლოგისტიკისა და ინტერმოდალური ტრანსპორტირების მიმართულებით საკუთარი გამოცდილების გამოყენებით. ამ ინიციატივის მიზანია, თბილისი გადაიქცეს სტრატეგიულ შიდა კვანძად, რომელიც შავ ზღვაზე საქართველოს პორტებს დააკავშირებს ფართო რეგიონის სავაჭრო ქსელებთან.

მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების პროცესი გაგრძელდება ჩვენს ქვეყანაში, რაც პროგრესისა და მდგრადობისადმი ჩვენი ერთგულებით არის განპირობებული. ეს მიღწევები ხაზს უსვამს საქართველოს პოტენციალს მეტად ძლიერი, დინამიური და მომავალზე გათვლილი ეკონომიკის შესაქმნელად.

არაბთა გაერთიანებული საამიროები ეკონომიკური წარმატების გამორჩეულ მაგალითს წარმოადგენს. ეს არის ქვეყანა, რომელმაც ინოვაცია, გამძლეობა და მდგრადი ზრდა უზრუნველყო. მისი პროგრესი არის ღირებული მოდელი, რომელიც აძლიერებს იდეას, რომ სტრატეგიულ ხედვას და მიზანსწრაფულობას შეუძლია ხანგრძლივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

გულითად მადლობას ვუხდი ორგანიზატორებს ამ სამიტის ჩატარებისთვის. ეს მხოლოდ შეხვედრა არ არის; ეს არის პროგრესისადმი ერთგულება. სწორი ხედვით, მიზანდასახულობით და ერთიანობით, ჩვენ უფრო ძლიერ და კეთილდღეობით სავსე მომავალს შევქმნით.

ერთხელ ბუდასთან სამი ახალგაზრდა მივიდა და უთხრეს: ო, უდიადესო, ჩვენ შენი ყველაზე ერთგული მიმდევრები ვართ; ჩვენ შევასრულეთ შენი ყველა ანდერძი და დარიგება. ვიცავდით ყველა წესს. ვაკეთებდით ასანებს. გავარღვიეთ სანსარას წრედი. ვკითხულობდით კოანებს, თუმცა მაინც ვერ შევიცანით ძენი. გვითხარი, რას არ ვაკეთებთ სწორად?

ბუდა წამიერად დაფიქრდა და შეუძახა: მოდით რა, დაახვიეთ აქედან, — მე ეგეთი სიტყვები არცკი ვიცი, რას ნიშნავს!

ჰოდა, ბუდასი არ იყოს, ჩემგან ეგეთ სიტყვებს არ ელოდოთ, ხალხის ნაწილი ვარ და ხალხურად გიყვებით კვირის მნიშვნელოვან ამბებს. ვერ ვხედავ იმის გარდაუვალ აუცილებლობას, რომ ტყლარჭვით ვწერო, ან ისეთი ენით, ლექსიკონი რომ უნდა მოიმარჯვოს მკითხველმა.

ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ამდენი გმირისა და პოლიტპატიმრის ატანა უკვე ძალზე მძიმეა პატარა საქართველოსთვის. ესენი გმირ პოლიტპატიმარს ვის ეძახიან, პოლიციელზე მიპარვით თავდამსხმელს?

გიორგი ოკმელაშვილს პოლიციელზე თავდასხმის გამო 5-წლიანი პატიმრობა შეეფარდაო და მოაყოლეს, უჩასაც ხუთი და მის ცოლს ოთხიო. ისე ავირიე, მუხუდოს მარცვალში არეულ ფეტვის მარცვლიან ტომსიკას დავემგვანე. რა ვქნა, ვერაფრით მოვათავსე ერთ სიბრტყეზე პოლიციელზე თავდასხმა და ცოლის სექს-თოჯინად გაქირავება პირთა დასაშანტაჟებლად, იარაღის უკანონოდ შენახვის დართვით. ეტყობა, ძალიან ავცდი დემოკრატიას, სადღაც ძალიან გამიხვევია გვერდზე...

სექსუალურად აღტკინებული „შპანა“ ატყდა, ყველა დაპატიმრებულის საქმე სტრასბურგის სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს, ჩვენი მოსამართლეები მონები და მოსყიდულები არიანო. იდეოლოგირად მოწინააღმდეგე მხარემ გამოსძახა, სტარსბურგში კი არა, კანის ფესტივალზე გაასაჩივრეთ, პორნოფილმების განყოფილებაშიო.

ისე გამეცინა, ხითხითი ამიტყდა, — წარმოვიდგინე, სტრასბურგში, სასამართლო დარბაზში გაშვებული პორნოჩანაწერები და ოფლით დაცვარული პირისახით მომზირალი დამსწრე საზოგადოება. მოულოდნელად გონზე რომ მოვა გახვითქული მოსამართლე, რადგან რომელიღაც ნაცნობ ევროპარლამენტარს მოჰკრავს თვალს, სასწრაფოდ აღკვეთს პორნოფილმების ჩვენებას და საკუთარი ტანჯვის სანაცვლოდ, კიდევ ხუთ წელს რომ დაუმატებს.

ჯანდაბას მათი თავი, თავადვე იცოდნენ, რაზე მიდიოდნენ და შეირგებენ იმ ხუთ წელსაც, მე ის უფრო მაინტერესებს, „მიშა ვივამედელი“ რომ ახლიდან ატყდა **ახალი**

სასაცილოა
სატირალი რომ არ იყოს...

ჩვილით, ცუდად ვარ, ორგანოები მეშლებაო. ახლა რა გვეშველება, მის ტანღუჭზე რომელი ორგანოების დაშლას უნდა ვდიოთ. კიდევ უარესი, ახლა მისი რომელიღაც ორგანოს მოპარვას დააპირებს რომელიმე ქვეყნის ექიმ-მპარავი და რამე ისეთი ორგანო არ მოაწყვიტონ, მერე სანანებელი რომ თავადვე გაუხდება და „ვივამედს“ კი — მისაკერებელი.

მშვენიერ ფერზე იყო ბელადი, ორატორობდა და მითითებებს იძლეოდა, რა ორგანოების დაშლა აუტყდა, რა ჭამა, ტრამპმა და ილონ მასკმა აწყინა?

კი, ეგენი აწყენდნენ. ისეთებს ამბობენ, ნახევარ მსოფლიოს დანიავება სჭირდება. ამასწინათ ისეთი თქვა ილონ მასკმა, „მიშა ვივამედლს“ კი არა, სრულიად საენჯეოეთს აქვს ატეხილი ქრონიკული ფაღარათი, — აშშ-ის იმ ლობისტური და იურიდიული კომპანიების საქმიანობა, რომლებიც უცხოური შემოწირულობების გათეთრებაში არიან ჩართულნი, უნდა გამოიძიონ და დახურონო.

საერთოდ რომ აღარ მახსოვდა მისი არსებობა, კაკო-ყაჩაღივით გამოხტა დავით დარჩიაშვილი, „მასკი დედა***ნლი იდიოტიაო“. ბიჭოოო, რა მაგრად გამწარებულან. ჰო, აბა, რა მოუვიდოდათ, ეგონათ, თავი ქუდში გვაქვს სამარადისოდო და აღმოჩნდა, რომ ქუდი ჰქონიათ თავში...

ამ გახსენებაზე! „კმარა“ და „ვარდების რევოლუციაც“ მოხვდა იმ გამოქვეყნებულ სქემაში, რომელიც აშშ-ის გარკვეული სტრუქტურების მიერ დაფინანსდა. მაშინდელი „რევოლუციონერები“ ახლაც რევოლუციურ პროცესებში არიან თავით გადაშვებულები. თავიანთი გულები მაშინდელისებურად აანთეს და სხვა გულებიც მაქსიმალურად ააგიზგიზეს, მაგრამ პატრუქი ისეთ უდროო დროს ამოუძრეს ლამპრიდან, ღამის პეპლებადღა დარჩნენ — ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდნენ.

CIA დემოკრატიას არ აშენებს. „**CIA**“-ს 80-მდე მთავრობის დამხობის ოპერაცია აქვს შესრულებული სხვადასხვა ქვეყანაში. რაც მთავარია, მათ მიერ დამხობილი მთავრობების უმეტესობა ადგილობრივმა მოსახლეობამ დემოკრატიულად აირჩია, — განაცხადა რობერტ კენედი უმცროსმა.

აჯანყდით! — იკივლა ეკა კვესიტაძემ და დაჯანყდა, მიხაელ როთზელა გადაეწყო, როცა სამშვიდობოს გავალთ, მიხაილ როთს ნამდვილად ეკუთვნის საპატიო თბილისელობაო. ვიღაცამ მიუგულისჭირა, ნეტავ, ისე ვუყვარდე ვინმეს, როგორც მიხაელ როთს უყვარს საქართველოო. ესენი „ზემოთა უბანში“ კარგად ვერ არიან? ისე კი, რაც „საპატიო თბილისელობა“ „საპატიო პედერასტობას“ გაუთანაბრეს, გინდ როთისთვის მიუციათ და გინდ — როთის ქმრისთვის, საქართველოსთვის ერთი ნაგავი და სამარცხვინოა...

იაგო ხვიჩიამ მოკლედ განმარტა, რაც მოხდა — საქართველოში რეალურად მოხდა ის, რომ ყველაზე სახელგატეხილი ხალხი, სხვადასხვა მიმართულებით, შემორჩა ენჯეოებში, ანდა, ასე შეარჩიეს, — ბუნებრივად „გაიჩითა“, რომ „ენჯეოშნიკობა“ ნიშნავს რაღაცა ტყუილს. რაღაცაა ბიჭო, იაგო, მილიონები?

შალვა ფანჩატუროვიჩი აიჯაგრა: „ეს სულელი იაგო ხვიჩია წმინდა სანტა კლაუსის მარხილს ჩამორჩენილი ირემივით რო პრაწავს დაპლანულ თვალებს, არსად გადამეყაროს, თორემ გავუხეთქავ თავსო.“

მოკლედ, ისეთი „პალაჟენიაში“ არიან, ნიკა გვარამიამ არ გამორიცხა, რომ მიმდინარე ქუჩის აქციები, მომავალში, ემიგრაციაში გაიხსენოს ცრემლების ღვარღვარით.

თანამედროვე კლარა ცეტკინისა და როზა ლუქსემბურგის ჩინურმა ვარიანტმა რაღაც იგუმანა და, რომ ველარსად მიაკვლია, იმედგაცუებულმა ღიად მისწერა ფანტაზიორ მავნებელს: „ქალბატონო პრეზიდენტო, ხდება რამე? მოსაყოლიც არაფერია? სმს-ი მაინც მოგვწერეთ ხალხს. ზოგადად, პოლიტიკოსებზე რა გსმენიათ? რას აკეთებენ, ან რას აპირებენ? მორჩა კინო?“ მე ვიყო ტარანტულის მსხვერპლი, თუ ამ გოგოს ორი მასტერკა ინტუიცია არ ჰქონდეს...

ერთი ამბავი გამახსენდა. ხაშურში მასწავლებელმა ხაშურის დახატვა დაავალა ბავშვებს. ერთის გარდა, ყველამ დაიწყო ხატვა. მასწავლებელი თავზე დაადგა: შენა რათ არა ხატან ხაშურსაო? ბავშვმა ფურცელი აუფრიალა: შენა ხაშურსა აქა დატენ?

ეგრეა ამათი ამბავი, ვერა ხატენ აქა რევოლუციასა და აჰა, ძალაა?!

„ისეთ რამეებს აკეთებს და მასკი ისეთ რაღაცებს ამბობს, ასე თუ გააგრძელეს, ბოლოს ყველა პუტინის და შალვა პაპუაშვილის დასაცინები გავხდებით, — თუ დაცინვა გვაკმარეს, რა თქმა უნდა“, — წამოიკვისინა მერაბ მეტრეველმა. წადი, შვილო, „ბენზინკალონკაზე“ მაინც გაიქარვე წუხილი, ხომ ხედავ, აქ არავის სცხელა შენს დასამშვიდებლად, ყველას ბოლი ასდის და სუნი გაუშვეს...

ისეთი ფულობანა ამოდის და ამოდის „იუესაიდიდან“, რომ მილიარდერი ტრამპი და მასკი გაოგნებულები ერთმანეთს ეხეთქებიან. ცალკე ის აოგნებთ, მილიარდობით დოლარი მოუპარავთო და ცალკე ის, რომ ლგბტ განხრით იმდენი მილიარდია დარიგებული, არაპიდარასტად დარჩენა რომ უნდა გეუხერხულებოდეს. უპირველესად, იმაზე ირევიან, რომ მომპარავები კიდევ იმდენია, წვერი ვერ გამოუღიათ, საიდან დაიწყონ, ვარსკვლავებსღა ეკითხებიან მოწმენდილ ცაზე.

მე რაღას მერჩოდნენ? მხოლოდ მათგან გადმოტანილი ინფორმაცია გავაზიარე, რომ ტრამპის ბრძანებით, ტრამპმა აშშ-ში 10 000-იანი ტრანსგენდერთა არმია განაიარაღა შეიარაღებულ ძალებში და გაოგნებულმა მივაწერე, რა ამბავია ამდენი პედერასტი-მეთქი. რომ მეცა კინწურაშვილის კანტორა, 8 თებერვლამდე სრულად გამაშეშეს სოცქსელში და 6 მარტამდე ნაწილობრივ მისიკვდილება მომისაჯეს. ამ საქმის მცოდნე არავინაა, რომ მეორე 25 მლნ უსამშობლო ფბცენზორებისგან გაწამებულებმა ავართვათ ცუკერბერგს?

ბიჭო, რა ვიკითხე გასაოცარი? ლუქსემბურგი, მონტენეგრო და კვიპროსი, — ამ სამ სახელმწიფოს შეირაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მეტ-ნაკლებად იდენტური რაოდენობა აერთიანებს, 9 000-12 000 სამხედრო მოსამსახურე-მეთქი და, ამ რაოდენობის მხოლოდ პიდარასტი რომ ჰყოლიათ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში, გამიკვირდა, ნუუ...

მასკმა განაცხადა, რომ ბიოლოგიურ იარაღის კვლევებსაც „იუესაიდი“ აფინანსებდა, საცდელი ბაჭიების მეტი რა არის მსოფლიოშიო. კი, ბლომად არიან...

ამდენი საქმე აქვთ და, ისაო, უკრაინა მიიღებს იმას, რასაც ვაძლევთ, ჩვენ კიდე სანაცვლოდ, წვდომას მოგვცემს იშვიათ წიაღისეულზეო. გადავბჟირდი: „მაგ წიაღისეულის 82% ორი თვეა, უკვე რუსეთის ხელშია გადასული და მრჩევლად ვინ გიზის, აკია ბარბაქაძე-მეთქი?“

ყველაზე მეტად იმ 25-მა მლნ-მა დამაინტერესა, საქართველოში რომ „მწვანე ტრანსპორტის განვითარებისთვის“ დახარჯულა. კალაძის მიერ შემოყვანილი თურქული მწვანე ავტობუსების გარდა, კიდევ რა მწვანე ტრანსპორტი გვაქვს, გეაჯებით, გამაგებინეთ! თუ ელექტრომობილები იგულისხმება, არც ისინი დამინახავს...

მოკლედ, ამბავი იმდენია, გაზეთის ერთი გვერდი კი არა, მთლიანი ნომერი არ მეყოფა, დანარჩენი მომდევნო ნომრებში...

ზურა ოსხერელი

ყველამ ვიცით, ბი-ბი-სი-ს და სხვა გამოცემებს რაც დაემართათ

გვესაუბრება საინფორმაციო სააგენტო „იქს-ნიუსის“ დამფუძნებელი მირიან ყარაულაშვილი:

— ბატონო მირიან, ქვეყანაში უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომლის დიდი ნაწილის გამძაფრებას ოპოზიციური მედია უწყობს ხელს. რატომ ვერ შეიქმნა ჩვენთან ჯანსაღი მედია?

— კიდევ ერთხელ მოგესალმებით და დიდ პატივისცემას ვუდასტურებ „საერთო გაზეთს“ და პირადად თქვენ. რაც შეეხება ჯანსაღი მედიის ვერშექმნას, ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. სამწუხაროდ, საქმე ის არის, რომ რაღაც ეტაპზე არც ოპოზიციას აწყობს მედიის კანონის დარეგულირება და მისი ჩარჩოებში მოქცევა და არც — ხელისუფლებას. ყველა საკუთარი არშინით ზომავს და სარგებელსაც ნახულობს. პირველ რიგში, ამით რიგითი ადამიანი იჩაგრება, რომელსაც სურვილი აქვს იცოდეს, რა ხდება სამყაროში. ყველანი მოწმენი ვართ, რომ ბოლო 30 წელია, პრესის თუ ტელევიზიის საშუალებით, ადამიანის ცნობიერების მანიპულირება აქტიურად ხდება. თავდაპირველად ამას პრესა აკეთებდა, მერე ეს როლი ტელევიზიამ შეითავსა. მაგალითად, „რუსთავი-2“-ის ზეობის პერიოდში, მედია ზღვარს გადავიდა. შემდეგ იყო „იმედის“ დარბევა. ამ საკითხის მოგვარება ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო. და, როგორც ჩანს, ახლა დადგა მომენტი, როცა დღის წესრიგში მასობრივი საინფორმაციო საშუალებების კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევის საკითხი დადგა.

— როცა სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, ტრაბახობდა, რომ მედია გაათავისუფლა. სახელმწიფოსგან თავისუფალი მედია რამდენად ნიშნავს თავისუფალს?

— სააკაშვილმა მედია კი არ გაათავისუფლა, არამედ მთელი მედიასივრცე პირად პატიმრად აქცია. ამის ნათელი მაგალითია გიორგი იაკობაშვილის ინტერნეტ-გამოცემა, რომელიც, ფაქტობრივად, მას ჩამოართვეს და საკუთარ, მართულ პიროვნებებს გადასცეს. იყო წლები, როცა მედიასივრცე აბსოლუტურად თავისუფალი იყო, ეს იყო შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. მაშინ მედია სახელმწიფოს ჩარევისგან, მითითებებისგან თავისუფალი იყო. სამწუხაროდ, არც ეს იყო მთლად მისასალმებელი. ზუსტად მაშინ დაიწყო „ფეიკ-ნიუსების“ შექმნა, პრესის მოსყიდვა, რეპორტიორების, ჟურნალისტების დაქირავება. მაგალითად, ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში, იგი ჟურნალისტებს საკანონმდებლო ორგანოში იბარებდა და კონვერტებით გასამრჯელოს აძლევდა იმის მიხედვით, ვინ როგორ ემსახურებოდა მის მიზნებს. ეს სააკაშვილის და ჟვანიას შემოღებული „წესი“ იყო. ზუსტად მათ, ჯერ მედიასივრცე გარყვნეს და შემდგომ, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ტელევიზიების დახურვა დაიწყეს. ყველა ტელეარხი ერთი მმართველობის ქვეშ მოაქციეს. დიდი უტიფრობაა იმის თქმა, თითქოს მიშამ მედია გაათავისუფლა. პირიქით, პირად პოლიტიკურ პატიმრად აქცია.

— ასევე, სააკაშვილს უკავშირდება კანონმდებლობიდან ცილისწამების მუხლის ამოღება, რის მწარე შედეგებსაც ახლა ვიმკით...

— დავაკვირდეთ, რა პროცესები მიდის აშშ-ში, ახალი ადმინისტრაციის პირობებში. ტრამპის მთავრობა ყოველდღიურად ცდილობს, ცილისწამებისგან და „ფეიკ-ნიუსებისგან“ გამოწვეული პრობლემები აღმოფხვრას. სხვათა შორის, სააკაშვილს არც ჟურნალისტებისგან შეხვდა წინააღმდეგობა მაშინ, როცა მთელი მედიასივრცე საკუთარ თავზე მოირგო, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამდენს ვერ გაბედავდა.

— დღეს დამკვიდრდა ტენდენცია: ჟურნალისტები ათასგვარ ცილისწამებას აჟღერებენ და ამას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებად ნათლავენ. აქეთ ევროპა შფოთავს, საქართველოში ჟურნალისტებს ჩაგრავენო. ევრორეზოლუციებში ჩვენი ქვეყნისგან მუდმივად მედიის გათავისუფლებას ითხოვენ...

— საქმე ის არის, რომ ეს არც ჟურნალისტების ბრალია და არც არასრულყოფილი კანონმდებლობის. შესაძლოა, ცილისწამებაზე პირდაპირ სისხლის სამართლის კანონში შესაბამისი მუხლი არ გვაქვს, მაგრამ არსებობს სამოქალაქო სამართალი, სადაც ადამიანს შეუძლია, პირადი ღირსების, რეპუტაციის შელახვა გაასაჩივროს. არსებობს მუხლები, რომელსაც საქართველოში ნაკლებად იყენებენ. ერთადერთი ხელისუფლებაში მყოფი საჯარო მოხელე, ვინც ეს მუხლი გამოიყენა, კახა კალაძეა. მან ერთ-ერთ ტელეგადაცემას სასამართლო პროცესი მოუგო. ამიტომ მიმაჩნია, რომ სასამართლო ხელისუფლების სუსტი მუშაობის ბრალია ის, რომ ბიუროკრატიული წინააღმდეგობები ვერ გადალახეს და, ფაქტობრივად, სარჩელის შეტანიდან მის განხილვამდე პერიოდი ძალიან იწელება. სამოქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელის დროულად განხილვის იმედი ადამიანებს არ აქვთ. სასამართლომ ასეთი საკითხები დაჩქარებული წესით უნდა განიხილოს და ადამიანებსაც სტიმული მიეცემათ, ეს მუხლი აქტიურად გამოიყენონ. ზუსტად უნდა განისაზღვროს, რა არის ცილისწამება.

მეორე მომენტია ის, რომ რატომღაც ჟურნალისტებს დაუჟინებიათ, რომ ხელისუფლებას ყველაფრის თმენის ვალდებულება აქვს. შეურაცხყოფაზე თმენის ვალდებულება არავის აქვს. არცერთ კანონში არ წერია, პრემერი იქნება, მინისტრი, ქალაქის მერი, პარლამენტის თავმჯდომარე, თუ პოლიციელი, რომ ჟურნალისტმა შეურაცხყოფა უნდა მიაყენოს და მან ამაზე პასუხი არ უნდა გასცეს. კანონმდებლობაში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს. ამიტომ ეს თავად ჟურნალისტების მოგონილია, საკუთარი თავის დასაცავად.

— რაც შეეხება მდინარაძის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას ბრიტანული კანონმდებლობის შემოტანის შესახებ, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ?

— როგორც ვიცი, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს და უმრავლესობის სხდომა გაიმართა და ეს გადაწყვეტილება სწორედ იქ იქნა მიღებული, რაც მდინარაძემ გაახმოვანა. კარგია, რომ კანონპროექტის დაინიცირება გადაწყვიტეს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ბრიტანულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით?! ერთი მხრივ, მესმის ამის მიზეზი — რათა შემდგომ ამ მარგინალ ოპოზიციას არ მიეცეს იმის თქმის საშუალება, რომ ეს რუსული არადემოკრატიული კანონია. მაგრამ, მეორე მხრივ, არ მგონია, ბრიტანული კანონმდებლობა ამ კუთხით მისაბაძი იყოს. ყველამ ვიცით, ბი-ბი-სი-ს და სხვა გამოცემებს რაც დაემართათ. ფაქტობრივად, დღევანდელი ბრიტანული პრესა მემარცხენე-მარქსისტულ-ტროცკისტული მიმართულების პროკლამაციაა და მეტი არაფერი. ვისურვებდი, საქართველოს ღვაწლმოსილი, საღად მოაზროვნე ხალხი: მეცნიერები, ჟურნალისტები, პროფესორ-მასწავლებლები, მენეჯერები, ზოგადად, ყველა, ვინც მედიასივრცეში მუშაობს, შეიკრიბონ და კანონმდებლებთან ერთად არა ბრიტანული, არამედ სუფთა ქართული კანონმდებლობა შეიმუშავონ.

— როგორც მდინარაძემ აღნიშნა, ბრიტანული კანონმდებლობის თანახმად, დადგინდება მედიის ობიექტურობა, ჟურნალისტიკის ეთიკის სტანდარტები და მედიის უცხოური წყაროებიდან დაფინანსება შეიზღუდება...

— მედიის დაფინანსებისთვის, პირველ რიგში, საქართველოში სარეკლამო სივრცე უნდა შეიქმნას. რეკლამის კანონში უნდა განისაზღვროს, რა ადგილი უჭირავს რეკლამას და მისგან დაფინანსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. თუმცა, ვერცერთი კანონი ვერ იმუშავებს ზუსტად და კარგად, თუ სასამართლო სისტემამ ამ ცვლილებებს მხარი არ დაუჭირა. სასამართლო სისტემამ ყველა სარჩელის ოპერატიულად განხილვა უნდა შეძლოს. აღინიშნა ისიც, რომ ბრიტანული კანონმდებლობით მოქალაქეების სიცრუისგან დაცვა მოხდება. ეს თავად ბრიტანეთშიც უჭირთ. მათი ფლაგმანი ბი-ბი-სი-ა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი დეზინფორმატორია, განსაკუთრებით, არაინგლისურენოვანი რედაქციები: რუსული, უკრაინული და ა. შ.

— ოპოზიციური ტელევიზიები ამ კანონს რეპრესიულს უწოდებენ, — ეს საპროტესტო მუხტის დაშლისთვის არის გამიზნულიო...

— ამ კანონისთვის ჯერ რუსული არ უწოდებიათ, ხომ?! კანონის განხილვა რომ დაიწყება, ალბათ, ამაზეც იტყვიან, რუსულიაო. მათი ვალდებულება ეს არის, — ყველაფერზე უნდა იძახონ, რუსულიაო. ხელისუფლების ვალდებულება კი კანონების მიღებაა.

პირველ რიგში, აუცილებელია, ყველა პროექტი გამჭვირვალე იყოს, ოღონდ, არა ისეთი, კაპიტან გიგაურს რომ წარმოუდგენია. ყველაზე დიდი გაუმჭვირვალობა სწორედ ის არის, რასაც კაპიტანი გიგაურის ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ აკეთებს. ოპოზიციური მედია მედიის კანონთან დაკავშირებით, ცენზურაზე ალაპარაკდა. მე თუ მკითხავთ, ცენზურას სწორედ ოპოზიციის მხრიდან აქვს ადგილი. დააკვირდით, როგორ მუშაობენ ამ სამი ოპოზიციური ტელეარხის ჟურნალისტები და როგორ ექცევიან სახელისუფლებო მედიის წარმომადგენლებს, ანუ თავიანთ კოლეგებს. დიახ, სწორედ მათი მხრიდან არის ცენზურა დაწესებული და არა — ხელისუფლების მხრიდან.

— ქუჩის პროტესტზე რას იტყვით, სადამდე მივა ეს პროცესი?

— ჯერ ერთი, ეს პროტესტი კი არა, დაფინანსებული პერფორმანსებია, რაშიც ყოველდღიურად ასეულობით დოლარი იხარჯება. სანამ ფინანსები ეყოფათ, პერფორმანსებიც გაგრძელდება. ეს მხოლოდ „იუესაიდის“ დაფინასებული როდია. გამჭვირვალობის კანონი უნდა ამუშავდეს, რაც, სამწუხაროდ, სუსტი და მოუქნელია.

რაც მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ, აშშ-სთან ურთიერთობების კუთხით, საკუთარი ეროვნული ინტერესების აქტიურად გატარება უნდა დაიწყოს. განსაკუთრებით მაშინ, როცა გლობალური ძალთა ბალანსი ყოველდღიურად იცვლება. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან აშშ-ის შიდა პოლიტიკა ჯერ კიდევ არასტაბილურია. ტრამპს ბიუროკრატია და „დიფ სთეითი“ წინააღმდეგობას უწევენ. საქართველო თუ დამოუკიდებელ, პრაგმატულ დღის წესრიგს არ ჩამოაყალიბებს, მოგვიანებით შეიძლება, უბრალოდ, მოვლენების მძევალი აღმოჩნდეს და თავს ისევ სხვაგან მიღებული გადაწყვეტილებები მოგვახვიონ, როგორც არაერთხელ მომხდარა. ჩვენი ქვეყნის ინტერესები მხოლოდ გარე ძალების მიერ არ უნდა განისაზღვროს. საჭიროა პროაქტიური მიდგომა გამოვიჩინოთ, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტს და ეკონომიკას გააძლიერებს. აშშ-სთან აქტიური დიპლომატიური ურთიერთობებია საჭირო. მნიშვნელობა არ აქვს, აქ, დიღომში ამერიკის ელჩი რას იტყვის, თავისი სიტყვა ამერიკაში საქართველოს ელჩმა უნდა თქვას. ასევე, საქართველომ ახალი სტრატეგიული პარტნიორობის საკითხები უნდა განიხილოს. თუ მასკი და ტრამპი ბიუროკრატიის კორუფციისგან გაწმენდას იწყებენ, ამ კუთხით ჩვენც მეტი გამჭვირვალობა უნდა მოვითხოვოთ. ვიმეორებ, პირველ რიგში, საქართველოს დიპლომატია უნდა გააქტიურდეს.

— მოსკოვი-სოხუმის რეისი შედგა, რით არის ეს მოვლენა მნიშვნელოვანი?

— პირველ რიგში, მნიშვნელოვანი ის არის, რომ თავად საერთაშორისო საავიაციო სააგენტომ სოხუმის აეროპორტს დამოუკიდებელი კოდი კი არა საქართველოს კოდი მიენიჭა. ანუ, ის საქართველოს აეროპორტად არის მიჩნეული. რაც უფრო განვითარდება მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო სტრუქტურა, მით უკეთესი. ამას ურთიერთობების გაღრმავება მოჰყვება. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ აეროპორტით სარგებლობას დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა დაიწყებს, რასაც ადამიანების ერთმანეთთან დაახლოება, სახალხო დიპლომატია და სხვა სიკეთეები მოჰყვება.

თამარ შველიძე

„ნაცები“ პოლიტიკას სამუდამოდ უნდა ჩამოცილდნენ

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, რომ „ფარას“ კანონს დააინიცირებდნენ, რომელიც ამერიკული კანონის ზუსტი ასლი იქნებოდა. თუმცა, მეორე დღეს ეს კანონი ტრამპმა გააუქმა...

— „ფარას“ კანონი ამერიკაში, თითქმის 100 წელია, არსებობს და თავის დროზე იმიტომ მიიღეს, რომ ქვეყანა გარედან შესული თანხების არამიზნობრივი ხარჯვისგან დაეცვათ, რათა ეს აშშ-ის საწინააღმდეგოდ არ ყოფილიყო გამოყენებული. თავდაპირველად კანონი, ძირითადად, მედიასაშუალებებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოგვიანებით კი ლობისტური კომპანიების საქმიანობასაც შეეხო. დღეს კი აშშ-ში რეალობა შეცვლილია — იქ გარე დაფინანსება საერთოდ აღარ არსებობს. ანუ, ამერიკისთვის ეს კანონი ისეთი აქტუალური, როგორც 80 წლის წინათ იყო, აღარ არის. თავად ამერიკაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ნუსხას რომ ჩახედოთ, რომელთაც „ფარას“ კანონი შეეხო, მათი რიცხვი, მაქსიმუმ, 1-2%-ს შეადგენს, რადგან სხვა ნჯო-ები გარედან არ ფინანსდებიან. იქ შიდა დაფინანსება იმ ოდენობისაა, რომ გარე დაფინანსების საჭიროება არ არის. ანუ, იმ კანონის საჭიროება, რომელიც გარედან შემოსული ფულით არასამთავრობო ორგანიზაციების მავნებლურ საქმიანობას გამოავლენს, ამერიკაში არ არსებობს. ამიტომაც, ტრამპმა მიიჩნია, რომ „ფარას“ კანონი ნჯო-ების ძალიან მცირე ნაწილს ეხებოდა და გააუქმა.

დღეს ტრამპი ატარებს პოლიტიკას, იგივე „იუესაიდის“ მისამართით, რათა ამერიკული ფული სხვა ქვეყნებში არ შევიდეს და მისი არამიზნობრივად გამოყენება არ მოხდეს. ბუნებრივია, იგი თავადაც შეიმუშავებს დამზღვევ მექანიზმს, რათა ამერიკაში სხვა ქვეყნის ფული არ შევიდეს და მისი მავნებლურად გამოყენება არ მოხდეს. აქედან გამომდინარე, ამერიკაში „ფარას“ კანონის არსებობას აზრი ეკარგება. თუ საქართველოში გაჩნდება ნჯო-ებისთვის შიდა დაფინანსების წყარო, ანუ ფონდი, რომელიც არასამთავრობოებს ქვეყნის შიგნით საკუთარი ფულით დააფინანსებს, მაშინ, ამერიკის მსგავსად, „ფარას“ კანონის მიღება აღარც ჩვენთან იქნება საჭირო. მთავარია, თავად ხელისუფლება რას გადაწყვეტს — როგორც აშშ-ში, ისიც მხოლოდ შიდა დაფინანსებით შემოიფარგლება, თუ მედიისა და ნჯო-ების გარედან დაფინანსებას დაუშვებს.

— თუმცა, მდინარაძემ ისიც აღნიშნა, რომ მედია უცხო ფულით არ უნდა ფინანსდებოდეს...

— კი ბატონო, არ უნდა ფინანსდებოდეს, მაგრამ ჯერჯერობით, ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა, მედიაც და ნჯო-ებიც ისევ უცხოური ფულით ფინანსდებიან. ამას ვერაფრით აკრძალავ, თუ ქვეყნის შიგნით ფონდი არ შექმენი, რაზეც ზემოთაც ვისაუბრე. მის შექმნაზე საუბარი იყო, მაგრამ ჯერ არ შექმნილა. თუ ნჯო-ებისთვის შიდა დაფინანსების წყარო არ გაჩნდება, მაშინ „ფარას“ ანალოგი კანონის მიღება აქტუალური იქნება. ხოლო თუ შიდა დაფინანსება უზრუნველყოფს იმას, რასაც აშშ-ში ფონდები აკეთებენ, მაშინ ეს კანონი საჭირო არ იქნება. ვიმეორებ, ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, ქმნის ამ დაფინანსებას თუ არა. ამერიკული „ფარას“ კანონი უფრო სხვა ქვეყნებს ეხმარებოდა. მაგალითად, ჩვენ შემთხვევაში გამოავლინა, რა თანხებს ხარჯავდა სააკაშვილის ოჯახი ლობიზმში. ტრამპი თავისი ქვეყნის ინტერესებზეა ორიენტირებული, ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ.

მდინარაძემ აღნიშნა, რომ გრანტის შესახებ კანონში ცვლილებები შევა და ნჯო-ებს, რომლებსაც ქართული ინტერესის გატარება სურთ, შეეძლებათ, საგრანტო დაფინანსება საქართველოს მთავრობისგან მიიღონ. ასე რომ, დაველოდოთ. ჯერჯერობით, გარედან დაფინანსების ალტერნატივა არ არსებობს.

— „იუესაიდის“ სკანდალმა გამოააშკარავა, რომ ჩვენთვის გამოყოფილი თანხები არა ქველმოქმედებას, არამედ გადატრიალების მოწყობას ხმარდებოდა...

— ამის გამოაშკარავება დადებითი ფაქტია, განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკისთვის. ანუ, აშშ-ს ჩვენისთანა ქვეყნებისგან უფრო მეტი ნდობა ექნება, როცა ეცოდინება, რომ მან უარი თქვა ისეთ მექანიზმზე, როგორიც ძალადობრივი გზით ხელისუფლების ცვლილებაა. დიახ, ამით თანამშრომლობის სურვილი და პარტნიორობის შესაძლებლობა ჩნდება. „იუესაიდის“ აკრძალვით, ამერიკა თვითონ ამბობს უარს იმ მექანიზმზე, რომ საქართველოში მოსული ხელისუფლება, რომელიც მას არ მოეწონება, „იუესაიდის“ დახმარებით ჩამოაგდოს. ეს აჩენს ნდობას, რომ აშშ-სთან რეალურად პარტნიორული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდეს. რასაც მასკი მსოფლიოს სთავაზობს, ჩვენისთანა ქვეყნებისთვის იმედის მომცემია.

ერთი მხარეა, რა ჰქონდა „იუესაიდს“ დეკლარირებული ჩვენს დახმარებაში, თანხები, წესით, დემოკრატიისთვის ხელშეწყობას უნდა მოხმარებოდა. ამის ნაცვლად ჩვენს მედიას, ნჯო-ებს პირდაპირი დაკვეთა ჰქონდათ, ხელისუფლება თუ ამერიკის მთავრობის ყურმოჭრილი მონა არ იქნებოდა, დაემხოთ. ჩვენს საშინაო საქმეებში, ისინი განსაზღვრავდნენ, ვინ დაგვეჭირა, ვინ ციხეში გაგვეშვა და ა. შ. თეა წულუკიანმა კიდეც აღნიშნა, ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის ელჩი პირდაპირ მოითხოვდა „ნაციონალური მოძრაობის“ პატიმარი წევრის ციხიდან გათავისუფლებასო. აი, ასეთ დიქტატს ჰქონდა ადგილი, რაც დასრულდა. ამის შემდეგ რა დაიწყება, არავინ იცის, მაგრამ მთავარია, რომ ეს აპრობირებული ფორმა, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა, დღის წესრიგიდან მოიხსნება. ძალადობრივად ხელისუფლების ცვლილება, ორჯერ განხორციელდა — გამსახურდიასა და „ვარდების რევოლუციის“ დროს. დამხობისკენ მიმართული დაფინანსება, ამერიკიდან აღარ წამოვა. ეს ცალსახაა.

— ამ ფონზე პროტესტის გაგრძელების პროცესს როგორ ხედავთ?

— ისეირნებენ ასე, ვინ დაუშლის. მთავარია, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს ახსოვს ცხრაწლიანი რეჟიმი და ოპოზიციაში მათი ყოფნის პერიოდიც, როგორ აპირებდნენ შტურმით პარლამენტის აღებას, წვავდნენ პოლიციელებს და ა. შ. მათ სახელმწიფოსთან ურთიერთობის ანტიეროვნული ფორმები შემოიტანეს. მოსახლეობის მცირე ნაწილი შეიძლება მოტყუვდეს, მაგრამ ყველას ვერ მოატყუებენ. ამ პროტესტს პერსპექტივა არ აქვს, რადგან სიმართლე მათ მხარეს არ არის. რევოლუციის მოწყობის რესურსს რაც შეეხება, მთავარი თანხები და სიგნალიც აშშ-იდან უნდა წამოსულიყო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ოპოზიცია ისევ ძველ ტალღაზეა დარჩენილი. თუმცა, ტრამპის პოლიტიკიდან ჩანს, რომ ეს რესურსი აღარ ექნებათ. და, რაც მთავარია, ამერიკიდან არც პოლიტიკური ნება არ იქნება, რომ აქ ხელისუფლება შეცვალონ. ხელისუფლების მიდგომა თუ იქნება ისეთი, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს და ვინც მას დაარღვევს, პოლიტიკური ფიგურა იქნება თუ რიგითი მოქალაქე, ყველას თანაბრად შეეხება, მაშინ ქვეყნის დამხობას ვეღარ შეძლებენ.

— ტრამპმა „პერესტროიკა“ დაიწყო. რას გვიჩვენებს ის პროცესი, რომელიც ვაშინგტონში მიმდინარეობს?

— ეს პროცესი ტრამპმა წარმატებულად დაიწყო და შედეგებიც სახეზეა. თუ ამერიკის მთავრობას სურვილი ექნება, „დიფ სთეითისგან“ გათავისუფლდეს, მაშინ ამ დიქტატისგან ჩვენც გავთავისუფლდებით. „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ ბრძოლა მარტივი არ არის. დარწმუნებული ვარ, ის რაღაცებში ახლაც ერევა, ეს სერიოზული ძალაა, მაგრამ მისი დამარცხება შესაძლებელია. ასე რომ, ამ ეტაპზე რევოლუციის მოწყობის საკითხი მოხსნილია. მის უკან მდგომი ძალა ამჟამად საკმაოდ შესუსტებულია. იმედია, „დიფ სთეითის“ დასასრულს მალე ვიხილავთ.

— უილსონი მაინც არ ისვენებს და „ქართული კოშმარის არაღიარების აქტის“ ეგიდით, ახალ სანქციებს გვპირდება. ამ ფონზე როგორ გაგრძელდება ევროპასთან ჩვენი ურთიერთობა?

— ევროპა სრულად იყო დამოკიდებული აშშ-ის პოლიტიკაზე, რისგანაც ჯერ არ გათავისუფლებულა. ევროპის რეევა მაინც საგრძნობია, რადგან ამერიკის პოლიტიკა აღარ არის ისეთი, როგორიც აქამდე იყო. უბრალოდ, ევროპას ჯერ ახალი დირექტივები არ მიუღია, ამიტომ ძველი ჩინოვნიკები, რომლებიც ამ მაფიაში იყვნენ ჩართულნი, იგივე რიტორიკას განაგრძობენ. ეს სერიოზული მაფიაა, მნიშვნელობა არ აქვს, მას „დიფ სთეითი“ ერქმევა, თუ სხვა რამ. მთავარია, ამერიკამ ყოველივე დროულად დაასრულოს და მაშინ ევროპის პოლიტიკაც მყისიერად შეიცვლება. ჩვენი ხელისუფლების მხრიდანაც გაჟღერდა, რომ საქართველო 2030 წელს ევროკავშირის წევრი გახდება. ჩვენებს იმედი აქვთ, რომ „დიფ სთეითის“ პოლიტიკა ევროპაში დამარცხდება. ჯერჯერობით, პროცესი თვითდინებით მიდის. ვიმეორებ, ეს ყველაფერი შეცვლადია, რადგან თავად ამერიკის პოლიტიკაა შეცვლილი.

— პარლამენტში უკვე ოფიციალურად ეყარა კენჭი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელიც ნაცების 2003-12 წლების დანაშაულებს გამოიძიებს. თქვენმა ორგანიზაციამ უკვე გადასცა მასალები პროკურატურას. რა მოლოდინი გაქვთ?

— გამოძიება აუცილებლად ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი. აგერ, ტრამპმა ღიად განაცხადა „იუესაიდის“ საქმიანობის შესახებ. ახლა ჩვენ უნდა გამოვიძიოთ, რასთან გვქონდა საქმე. ტრამპი და მასკი ხომ არ ჩამოვლენ აქ გამოძიების ჩასატარებლად?! ნაცების შავბნელი საქმეების უკან იდგა ხალხის ხოცვა, წამება. ასევე, გამოსაძიებელია, საიდან იღებს სათავეს რევოლუციების მოწყობის მცელობები. რაც მთავარია, მოწმენდილ ცაზე უცებ, რუსეთთან ომის პროვოცირებას რომ ახდენ, ეს შემთხვევით ჩადენილი შეცდომა ვერ იქნება. რეალური მიზეზია დასადგენი. ხალხი დაკითხვებზე ჩვენებებს რომ მისცემს, თანდათან გამოჩნდება ის ფაქტები, რომელთა მიხედვითაც რეჟიმის გასამართლება და ნაცების პოლიტიკიდან ჩამოცილება მოხდება. ყველამ ვიცით, რომ ნაცები პოლიტიკას უნდა ჩამოსცილდნენ, მაგრამ ამისთვის არგუმენტებია საჭირო, თუ რის საფუძველზე უნდა მოხდეს ეს. სწორედ ამ პროცესს უნდა შეუწყოს ხელი დროებითმა საგამოძიებო კომისიამ და საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას გადასცეს. ნაცებს 2012 წლის შემდეგაც უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი, მაგრამ 2003-12 წლებში ჩადენილი იმდენი ფაქტი ამოტივტივდება, რომ ეს ერთი კი არა, რვა ორგანიზაციის გასასამართლებლად იქნება საკმარისი.

თამარ შველიძე

ოპოზიციამ ხალხთან მისასვლელი გზა საბოლოოდ მოიჭრა



გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:

— ბატონო მერაბ, ხელისუფლებამ ახალი საკანონმდებლო ინიციატივები დაანონსა. რიგ საკითხებთან დაკავშირებით კანონმდებლობა მკაცრდება...

— მე თუ მკითხავთ, მთავრობას ეს გადაწყვეტილება აქამდეც უნდა მიეღო, ცოტა დაგვიანებულიც კია, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. „ქართულ ოცნებას“ კანონები ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რომ გაემკაცრებინა, ამ შედეგებს, რასაც ახლა ვიმკით, თავიდან ავიცილებდით. პოლიტიკოსი მაშინ არის ნიჭიერი, დასაფასებელი, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის საყრდენი, როცა შედეგებს წინასწარ ჭვრეტს, მაგრამ ეს პროცესი ევროპის ხიბლმა შეაფერხა. მოვა დრო და ხელისუფლებასთან ერთად ყველა დარწმუნდება, ევროკავშირი ბლეფია — მისგან არავითარი სიკეთე არ გველოდება. დიახ, ეს სატყუარაა, რითაც თავის ნებაზე გვატრიალებენ და იმას გვკარნახობენ, რაც თავად აწყობთ. გამჭვირვალობის კანონი ლამის ერთი წელია, მივიღეთ, მაგრამ შედეგი რა გვაქვს?! თუ კანონს იმისთვის მივიღებთ, რომ ეს ოპოზიციის ახმაურების მიზეზი იყოს, ამას რა აზრი აქვს?! ახლა, როგორც დაანონსდა, ხელისუფლება გამჭვირვალობის საკითხზე ამერიკული „ფარას“ ანალოგს, ხოლო მედიასთან დაკავშირებით, ბრიტანულ კანონებს მიიღებს. ისევ და ისევ, ამას აზრი მაშინ ექნება, თუ ეს კანონები რეალურად გატარდება და შედეგი დაიდება. კანონები მხოლოდ ტემპერატურის ასაწევად თუ მივიღეთ, მისი ფასი ნული იქნება.

— გარდა თქვენ მიერ ნახსენები ორი კანონისა, მკაცრდება კანონმდებლობა საჯარო მოხელეებისთვის — პოლიტიკოსებისთვის, პოლიციაელებისთვის შეურაცხყოფის მიყენების გამო...

— რა თქმა უნდა, დადებითი ნაბიჯია. თუმცა ეს თავის დროზე რომ მიეღოთ, ამდენი ზიზღისა და ღვარცოფის ნთხევას არ ვიხილავდით. დიახ, მე და ნებისმიერ ქართველს, ვისაც სამშობლო გვიყვარს, გული აღარ გვეტკინებოდა მოყვასის ასე ზღვარგადასული სიძულვილს გამო. არც ამდენ შეურაცხყოფას მიაყენებდნენ სახელმწიფოს იმ შტოს, რომელზეც ხელისუფლება დგას — ეს არის პოლიცია. პოლიციასთან დაპირისპირებას ადგილი აღარ იქნებოდა და პოლიციის ავტორიტეტიც არ შეიბღალებოდა. რადიკალებმა პოლიცია არარაობად წარმოაჩინეს, სინამდვილეში, ის ქვეყნის, კანონის მსახურია. რაც უფრო გაძლიერდება პოლიციის უფლებები, მით მეტი წესრიგი დამყარდება. აბა, ამერიკაში გაუბედოს ვინმემ პოლიციელს ის, რასაც აქ ბედავენ. ზღვარს არ უნდა გადახვიდე. თავისუფლება როგორც აქ ესმით, თავაშვებულობას, უზნეობას არ ნიშნავს, არამედ წესრიგს, ზრდილობას, ურთიერთპატივისცემას და სიყვარულს.

რაც მთავარია, ეს ახალი საკანონმდებლო ნოვაციები მაქსიმალური სიცხადით უნდა იქნას მიღებული. კანონების მიღებას ინსტიტუციების გაძლიერება უნდა მოჰყვეს. ასე უცებ, დღეს ან ხვალ ვერ მოხდება მისი რეალიზება, მაგრამ დამტკიცების მერე, თვითონ კანონის მიმართ რიდი გაჩნდება. ვითარება ურთულესია, ერი გადაგვარების გზით მიდის. ჩვენ ქრისტეს გზაზე თუ არ შევდექით, ვერ გადავრჩებით.

მთელი ამბავი ევროკავშირში გაწევრიანება-არგაწევრიანების გამოა ატეხილი. ევროკავშირში მხოლოდ ჩვენი ღირსებით, თავმოყვარეობით, იდენტობით, შეხედულებებითა და რწმენით გავწევრიანდებით. ევროპულ ოჯახს ჩვენს კულტურას გავაცნობთ, გამოცდილებას გავუზიარებთ და, რაც მთავარია, თვითმყოფადობას შევინარჩუნებთ. სხვა შემთხვევაში, იქ ჩვენი ადგილი არ იქნება. ადამიანების ნაწილი ისტერიულად გაჰკივის, ევროპა გადაგვარჩენსო. ვერ გავიაზრეთ, რომ სხვაზე ჩამოკიდებას კი არ უნდა ვესწრაფვოდეთ და იმას ვიძახდეთ, სხვისი უკეთესია, ჩვენი არ ვარგაო, არამედ, ღირსება როგორ შევინარჩუნოთ. ჩვენ მონობისკენ არ უნდა ვისწრაფოდეთ. ჩვენ უნდა გვინდოდეს კავშირი ერებსა და სახელმწიფოებს შორის და, რაც მთავარია, დამოუკიდებლობა, თვითმყოფადობა. გონივრულად უნდა მოვიქცეთ და ის ღვაწლი, რაც ჩვენმა წინაპრებმა სისხლითა და ოფლით დღემდე მოიტანეს, უფრო გავაძლიეროთ. დღევანდელობა არ ითხოვს ხმლებით ბრძოლებს და დაპყრობებს. ახლა დაპყრობა სხვაგვარად ხდება, უკულმართი იდეოლოგიით. ამაში ჩართულია აქაური მეხუთე კოლონა. აღსანიშნავია, რომ ამ ფონზე ხელისუფლება მართებულ კანონებს იღებს და ეროვნულ რელსებზე დგას.

საქართველოს შესახებ გადაწყვეტილებები მხოლოდ საქართველოში უნდა მიიღებოდეს და ვერავინ შეძლოს ჩარევა, შანტაჟი. ჩვენ სხვა გზა არც გვაქვს. უკრაინის მაგალითი ხომ სახეზეა. უკრაინაში რაც ხდება, თანაგრძნობას იმსახურებს. ამან ბევრ ქვეყნებს დაგვანახა, რა უბედურების მომტანია ევროპული გზა და ნატო, ნატო-ს ძახილი. უკრაინის საკითხმა ამერიკაც გონს მოიყვანა, დაანახა, რომ ის პოლიტიკა, რაც სინამდვილეში ამერიკიდან იმართება, დამღუპველია თავად იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ კომბინაციების მოწყობაში არიან ჩართულნი. ახლა გამოჩნდება, რამდენად მართული იყო ევროკავშირი ამერიკისგან. სანამ ევროკავშირში ლიბერალური ფაშიზმის მიმდევრები არიან, ისინი წინააღმდეგობას ტრამპის პოლიტიკასაც გაუწევენ.

— ილონ მასკმა ორგანიზაციას, რომელიც ჩვენთან გადატრიალების მოწყობას აფინანსებდა, კრიმინალური უწოდა. ხელისუფლება ამერიკის საელჩოსგან ბოდიშის მოხდას ითხოვს...



— დიახ, ამერიკის საელჩომ უნდა გვითხრას, რაში იხარჯებოდა გადმორიცხული თანხები. გზას, რასაც ქართული ხელისუფლება დაადგა, ალტერნატივა არ აქვს. სხვაგვარად ვერც იქნება. ქართველი ხალხი იძულებული ვართ, ჩვენი სამშობლო და ინტერესები დავიცვათ. დარწმუნებული ვარ, ტრამპი ორბანსაც შეხვდება და პუტინსაც. ეს ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ჩვენ იმ მებრძოლი, ტრადიციული ქვეყნების წრეში ვექცევით, როგორიც უნგრეთი და სლოვაკეთია. როგორ ფიქრობთ, უკრაინა-რუსეთის ომმა მხოლოდ უკრაინა დააზარალა? ერთ-ერთი ამერიკელი ექსპერტი წერდა, ომმა უკრაინა ასი წლით უკან დახიაო. წარმოგიდგენიათ, ეს რას ნიშნავს?!

აქეთ სლოვაკეთის პრეზიდენტი უკრაინას გაზის გადაკეტვაში ადანაშაულებს. ევროპას ცოტა ზარალი მიადგა?! მათგან არაფერი მიკვირს — ჯერ ჯვაროსნული ომებით დაიწყეს, კოლონიალიზმი ახლაც ვერ მოიშალეს, მერე ფაშიზმი — ხალხს გაზის კამერებში წვავდნენ. ჩვენთვის ეს უცხოა. მათთვის კაცის მოკვლა, პოლიციელზე ხელის აწევა უცხო არ არის. კი, თავიანთ ქვეყნებში ამის გამო სჯიან, მაგრამ ჩვენ კანონის სისრულეში მოყვანას გვიკრძალავენ. დიახ, მათთვის ასევე დასაშვებია უკრაინელების ხოცვა-ჟლეტა, ქვეყნის დაქცევა. ქართველები ფაქიზი, ემოციური ერი ვართ. ჩვენ ქრისტიანები ვართ, სხვები არასდროს დაგვიპყრია, სხვისი სისხლი არ გვისვამს, ისინი კი სისხლისმსმელები არიან.

— მათ არავითარი ბერკეტი არ აქვთ. 60 დეპუტატი ცოტა როდია, პარლამენტში უნდა შესულიყვნენ, მაგრამ ისინი ხომ სხვისი კარნახით მოქმედებენ. ესენი დამოუკიდებელი პოლიტიკოსები კი არა, მართულები არიან. ეს არ გახლავთ ქართული ოპოზიცია. ის ქართულ საქმეს, სახელმწიფოებრიობას არ ემსახურება. გათვლა აქვთ, რომ სხვა ქვეყნის ხელით ხელისუფლებაში მოვლენ. არ მესმის, რის იმედად არიან. თუ პოლიციას ლანძღავ, აფურთხებ, „მოლოტოვის კოქტეილს“ ესვრი, სილას გააწნავ, ხელისფლების მომხრეს ქოცს, მოღალატეს, მონას ეძახი, ავრცელებ ინფორმაციას, რომ მას რესტორანში საჭმელში უნდა ჩაუფურთხო, ამის მერე როგორ ფიქრობ, რომ ქართველი კაცი ხმას მოგცემს!

— აქციები კვლავ გრძელდება. რა იქნება ამის კულმინაცია?

— მე კარგად ვიცი მიტინგის ხიბლი რაც არის. 27 წელი ფურცელაძის ქუჩაზე ვიცხოვრე და ეროვნული მოძრაობიდან მოყოლებული, აქციებზე სულ დავდიოდი. ეს ახალგაზრდები ზოგი გულწრფელად უკმაყოფილოა და საერთო ენას ერთმანეთში პოულობს, ერთმანეთთან ურთიერთობენ. ასე ივლიან, სანამ არ მობეზრდებათ. სხვა საკითხია, ამით რას მიაღწევენ. ასეთი ქცევებით, აგრესიით იმდენს იზამენ, რომ „ქართული ოცნების“ ელექტორატი გაიზრდება. თუ „ქართულ ოცნებას“ 26 ოქტომბერს ხმა მილიონ 120 ათასმა ამომრჩეველმა მისცა, ხელახალი არჩევნები რომ ჩატარდეს, ეს რიცხვი ორ მილიონამდე გაიზრდება. ოპოზიციამ, პირიქით, თავის ამომრჩეველს თავი შეაზიზღა. ყველამ ნათლად დაინახა, რომ ეს ოპოზიცია კი არა ქვეყნის მტერი ძალაა. ხალხს შეუძლია, გარეთ გამოვიდეს და თავისი ძალა აჩვენოს, მაგრამ ეს გონივრული საქციელი არ იქნება. ქართველი ერი გონიერია და იმიტომაც არ გამოდის გარეთ, მან იცის, რომ ამას დაპირისპირება მოჰყვება. დაე, იარონ, მთავარია, ხელისუფლება, რომელსაც ქვეყნის მართვა ვანდეთ, თავის სიმაღლეზე იდგეს და ხალხის ინტერესები დაიცვას.

— ბატონო მერაბ, პარლამენტმა სამ პოლიტიკურ ძალას უფლებამოსილება შეუწყვიტა. რა სამოქმედო ბერკეტი დარჩა ოპოზიციას?

ოპოზიციამ ხალხთან მისასვლელი გზა საბოლოოდ მოიჭრა.

რატომ არ გამოდის მილიონ 120 ათასი ამომრჩეველი ქუჩაში და არ იძახის, არჩევნები გაყალბდაო?! იმიტომ, რომ ამ ხალხმა „ქართულ ოცნებას“ ხმა რეალურად მისცა. რატომ გვაყენებენ შეურაცხყოფას იმის ძახილით, რომ არჩევნები გაყალბდა. როგორ გაყალბდა, როცა მე და ჩემნაირმა კიდევ მილიონ 119 ათასმა კაცმა ხმა მისცა! ხელისუფლებაც ხედავს, რომ ლეგიტიმაცია მას ხალხმა მიანიჭა. ოპოზიციას მივმართავ: თუ ბრძოლა გინდა, შედი პარლამენტში და ეს პოლიტიკურ ველზე გააკეთე. იქნებ, ხვალ-ზეგ ჩემი გულიც მოიგო და შენს მიმართ სიმპათია გამიჩნდეს. დაგვანახონ ხელისუფლების შეცდომები და როგორც ჭეშმარიტმა პოლიტიკოსებმა, ისე იბრძოლონ. ესენი რას აკეთებენ? ჟურნალისტს, რომელმაც პოლიციელს სილა გააწნა, პოლიტპატიმარს ეძახიან. ჟურნალისტი ხომ სხვას უნდა აძლევდეს მაგალითს, ერის კულტურის ნიშანსვეტი უნდა იყოს. ასე რომ, ეს არც მორალში ჯდება და არც ადამიანობაში. ეს ქალბატონი გმირად აქციეს.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ მივესალმები საკანონმდებლო ინიციატივების გამკაცრებას, ოღონდ, ეს ქაღალდზე არ უნდა დარჩეს და რეალურად მოვიდეს მოქმედებაში. მერე ყველას პოლიციისა და პოლიციელების სხვაგვარი რიდი გაუჩნდება.

თამარ შველიძე



„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:

სადაც პოლიტიკური პროცესი არაა, ვერც პოლიტიკური შედეგი დადგება

— ბატონო გოგა, ოპოზიცია თავისი აქტივისტებიანად რუსთაველის გამზირზე დგას, ხელახალი არჩევნების დანიშვნას და პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ითხოვს. როგორ გესახებათ პროცესის განვითარება?

— იქ **სადაც პოლიტიკური პროცესი არ მიმდინარეობს, ვერც პოლიტიკური შედეგი დადგება.** პოლიტიკურ პროცესს თავისი ლოგიკა აქვს. კიკუ ვაშაძე, გირჩი შარვალჩახდილი და ხაზარაძე პოლიტიკოსები არ არიან.

მსოფლიოში პორნოლიბერალიზმის ეპოქა დასრულდა. ევროატლანტიკურ სივრცეში კი სრული კრახით. სახეზეა გახრწნილი, გარყვნილი, კორუფციაშია ჩაფლული ბიუროკრატია. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ „იუესაიდის“ მიერ 50 მილიონი დოლარი ღაზას სექტორში პრეზერვატივების შესაძენად იყო განკუთვნილი. სად წავიდა ეს ფული, საინტერესოა, ან ვინ მოიხმარა ამდენი პრეზერვატივი და როდის.

შეუმდგარი ადამიანების ჯგუფი რუსთაველის გამზირზე ავტორიტეტის შეძენას იაფფასიანი პოპულარობით ცდილობს. სამი ტელესაროსკიპო კი დღედაღამ ამ პეროვნებების ვნებებს პირდაპირ ეთერში გადმოსცემს.

„დიფ სთეითის“ მხილების პროცესი დაიწყო საერთაშორისო მაშტაბით, თუმცა ეს პროცესი არც აშშ-ში იქნება მარტივი. ცალკეული ფაქტები ცხადყოფს, რომ წინააღმდეგობა საკმაოდ ძლიერი იქნება. ვხედავთ ტრამპის ძალისხმევას, გადადგმულ ნაბიჯებს, ვისმენთ განცხადებებს, თუმცა ბრძოლა რთული იქნება.

საქართველო აღმოჩნდა ამ პროცესის შუაგულში. ქართველი საზოგადოება მტკიცედ, ვაჟკაცურად გაუმკლავდა „ჯიჰადს“, რომელიც ბაიდენის თამადობით ამერიკის ყოფილმა ადმინისტრაციამ და ევროპულმა ბიუროკრატიამ გამოგვიცხადეს.

დრომ ცხადყო, რომ ევროკავშირი არის არსებითად გადაგვარებული დაწესებულება, რომელსაც მომავალი არ უწერია. 550 ევროპარლამენტარი რეზოლუციას მხარს ისე უჭერს, რომ შინაარსი წაკითხულიც არ აქვთ. ეს უკვე საბჭოთა კავშირია, რომლის ბოლოც ყველას ნანახი გვაქვს. ცალსახად, ამ პოლიტიკურ ბორდელს, რასაც ევროკავშირს უწოდებენ, მომავალი არ აქვს.

მადლობა ღმერთს, რომ ქართული საზოგადოებაც გაიზარდა. 30 წელზე მეტია, უფალი უდაბნოში გვატარებს ისე, როგორც თავის დროზე ებრაელი ხალხი ატარა, როდესაც ეგვიპტის ტყვეობიდან გამოჰყავდა. ჩვენ საბჭოთა ტყვეობიდან გამოვედით. ჩვენმა ხალხმა სათანადო დასკვნები გამოიტანა. ამ ფსევდო "ევროპის მცველების" კორდებალეტს საზოგადოება არ აჰყვა. ახლა ამ უცხოური სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლებს, მათ აქტივს, დაფინანსება შეუწყდათ. უროლოგები, პროქტოლოგები, ტრანსგენდეროლოგები, შეუმდგარი ლიტერატორები, სქესარეული მოცეკვავეები, მჩხიბავები... ამ ორი თვის განმავლობაში რა აღარ ვნახეთ თბილისის ქუჩებში. ძნელად წარმოსადგენი იყო, საქართველოში ამდენი წარმართული სექტა თუ არსებობდა. როცა ნემსებით დაჩხვლეტილი, ადამიანის ფიტულს წვავ, იესოს გამოსახულებიან კუბოში, საშობაო ნაძვისხის ქვეშ, საშობაო მარხვის კვირაში, ეს სხვა არაფერია, თუ არა სატანიზმი. ჭრელ კაბაში გამოწყოფილი წვერებიანი კაცი, რომელსაც როკვით ევროპის გზის მცველები ექსტაზში შეჰყავს, ისეთივე გზას ადგას, როგორსაც ადგას ბრიუსელის ბიუროკრატია და ისეთივე მცველები ჰყავს ამ გზას აქ.

— ოპოზიცია გვარწმუნებს, რეჟიმის წინააღმდეგ, მთელი საქართველო გარეთ არის გამოსულიო...

— არც ბრმები ვართ და არც ყრუები. კარგად ვიცით, რას ნიშნავს, როცა მთელი საქართველო გარეთ გამოდის. მთელი საქართველო 17 მაისს გამოვიდა ოჯახის სიწმინდის დასაცავად! ამ ევროსმსახურებს კი, ვინც რუსთაველის გამზირზე „დაბირჟაობს“, ტრადიციულ საქართველოსთან კავშირი არ აქვთ. საქართველო, პირველ რიგში, არის ღირსება, ქრისტიანული კულტურა, ფასეულობები, რასაც ყოველი შეკრების დროს ფეხქვეშ თელავენ შიგ ევროპელები.

— აქციებს ხელოვანების მანიფესტიც შეემატა...

— აბა! **არ-მაგე-დონ** დაგვემუქრა. თეატრი და სცენა ანტიკურ სამყაროში ნიჭიერი ადამიანების მიერ ხელოვნების ფორმით პროტესტის გამოსახატავად იყო მოგონილი. ტრაგედია ბერძნულად „თხების სიმღერას“ ნიშნავს. ეს იყო ქუჩის მსვლელობები დიონისეს კულტის სადიდებელი ჰიმნების თანხლებით, რა დროსაც თხის საკერპო მსხვერპლის შეწირვა ხდებოდა. ახლა სწორედ ამას ვხედავთ, პეროვნებების ტრაგედიას — ანუ „თხების სიმღერას“, "ევროსკერპების" სადიდებელს. „ბულაძის სინდრომი“ დავარქვი ამ მოვლენას, როდესაც საკუთარ თავს ხელოვანებს ეძახიან, რაც წესით, ხალხმა უნდა შეაფასოს. „ხელოვანების“ პროტესტს „Moneyფფესტი" დაარქვეს. ეხლა **Money** შემოაკლდათ და ფესტის ანაბარა დარჩნენ.

მეამაყება, როდესაც ვხედავ, როგორ გონივრულად, ბრძნულად ითმენს მათ უღირს საქციელს ქართველი საზოგადოება. ქართველ ხალხს კარგად ესმის, რომ ნებისმიერმა არასწორმა ნაბიჯმა შეიძლება დააზიანოს ქვეყანა, მისი წინსვლა. ყველა სტატისტიკური მონაცემის თანახმად, ქართული სახელმწიფო ვითარდება. ეს უკვე სხვა საზოგადოება, სხვა ქვეყანაა, რომელმაც მსოფლიოს დაანახა, როგორ შეუძლია თავისი ღირსების, სახელმწიფოებრიობის, სუვერენიტეტისა და დემოკრატიის დაცვა. ჩვენ სამაგალითო ქვეყანა ვიქნებით. ბედნიერი ვარ, რომ ამ ქვეყანაში დავიბადე.

— Money კი გამოეცალათ, მაგრამ ოპოზიცია ისევ მაგისტრალების გადაკეტვაზე საუბრობს და მეტი აქტივისტის დაკავებას ითხოვს...

— ეგაა მაგათი ფესტი. მე პოლიტპატიმარი მყავდა ბაბუა, მამა, ბიძა! კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს პოლიტპატიმარი, მით უმეტეს, სინდისის პატიმარი. ასეთი იყო მერაბ კოსტავა, გაუტეხელი ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში დანაშაული არ ჩაუდენია. მასზე დოკუმენტური ფილმი მაქვს გადაღებული. მიუხედავად იმისა, რომ უდანაშაულო იყო, 11 წელი „გულაგის“ ჯურღმულებში გაატარა. შიმშილობა, კარცერები, ყინვა, წამება გამოიარა. საპატიმროდან რომ გამოვიდა, 48 კილო იყო. აი, ვინ იყო სინდისის პატიმარი. მერაბ კოსტავა საბჭოთა რეჟიმის მიერ სიმართლის გამო ისჯებოდა. ამ ქალმა უცხოური სპეცსამსახურის დავალებით, საჯაროდ, განზრახ, პოლიციის უფროსს გაარტყა ხელი. ეს სახელმწიფოს ჩამოშლის, მისი ინსტიტუტების დაზარალების მცდელობაა. სისხლის სამართლის დანაშაული. აი, რის გამოა ეს ქალბატონი დაპატიმრებული. ვინც მას სინდისის პატიმარს უწოდებს, თავად არ აქვს სინდისი და არც ის იცის, სინდისი რა არის. ყველაფერი ფარსად აქციეს. სინდისის პატიმარი ასოცირდება ჭეშმარიტებისთვის უკიდეგანო თავგანწირვასთან. ქართველი პოლიციელისთვის საჯაროდ შეურაცხყოფის მიყენება ჭეშმარიტებისთვის ბრძოლაა?! ან ამ ერთკვირიან პატიმრებზე რომ ამბობენ, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას განიცდიანო. აბა, იმას რა ვუწოდოთ, რასაც ეს ბოროტი არსებები გვარამია, საакაშვილი, სამადაშვილი აკეთებდნენ. დაგვავიწყდა, ტყეში, მიწურში მეგრელი კაცის განწირული გმინვა, მერაბიშვილ-ახალაიების ჯალათები რომ აუპატიურებდნენ!!!. გამაუპატიურებელს წინასწარ „ვიაგრა“ რომ დაალევინეს. აი, ეს იყო არაადამიანური მოპყრობა და წამება. ეს კივილი სალომე სამადაშვილს, გვარამიას, ხაზარაძეს, კიკუ ვაშაძეს სულ ყურებში ექნებათ. ნურც ის დაგვავიწყდება, როგორ აბამდნენ ცოცხალ ადამიანებს გვამებზე გლდანის ციხეში მიშა-მაგარიას დროს. თუ არადა, გავახსენებ, არაერთი ფილმი მაქვს გადაღებული ამ ბოროტების მსახურებზე!

— პარლამენტმა 49 დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყვიტა. გახარიაზე შტურმი ხორციელდება მოთხოვნით, არ შევიდეს პარლამენტში...

— როგორ წარმოგიდგენიათ, გახარიას, ხაზარაძისა და ჯაფარიძის ერთობა?! თუ არალეგიტიმურია პარლამენტი, ფულს რატომ იღებ?! ფული ლეგიტიმურია, ხომ. ეს ქვეყანა მათთვის ასპარეზია, სამშობლო კი არ არის, აქ ვნებებს იკმაყოფილებენ. თავიანთი ნებით არ მოქმედებენ, რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებენ. კიკუ ვაშაძეს რა შეაჩერებდა, მაგრამ დავალება აქვს ასეთი, რომ არ უნდა შევიდეს პარლამენტში. ხაზარაძესა და ჯაფარიძეს მილიონები აქვთ დახარჯული, პარლამენტში რომ მოხვედრილიყვნენ, პატრონი ნებართვას არ აძლევს.

— ტრამპის განცხადებები იდეოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენსას ემთხვევა. თუმცა არ შეცვლილა ევროკავშირის დამოკიდებულება ჩვენ მიმართ, რომელიც ისევ ოჯახური ღირებულებების კანონის გაუქმებას გვთხოვს...

— აშშ-ში რევოლუციური ცვლილებებია. ბოროტმა ძალამ, რომელმაც იქ დაიბუდა, მთელი მსოფლიო გარყვნა და გააუბედურა. ევროკავშირი ჩამოლპა, ვიღას აინტერესებს მათი რეზოლუციები. მსოფლიო ჩამოიშალა, ესენი კი დღედაღამ საქართველოზე ლაპარაკობენ, დაბალ ღობედ მივაჩნივართ, მაგრამ ძალიან ცდებიან.

დღეს საქართველო ევროპაში — სუვერენობის, ღირსების, თავისუფლების სიმბოლოა. ასევე, უნგრეთი, რომელიც თავისი ინტერესებისთვის იბრძვის. მარკო რუბიომ კიდეც თქვა, უწინარესად, ქვეყნების სახელმწიფოების სუვერენიტეტი და ინტერესებია მნიშვნელოვანიაო. თუ ეს ინტერესები ჩვენსას დაემთხვა, ამერიკას მათთან კარგი თანამშრომლობა გვექნება. თუ არადა, ისინი თავიანთ გზას გააგრძელებენ, ჩვენ — ჩვენსას. „ომის პარტიის“ ბოროტმოქმედებაზე პირველმა საქართველომ დაიწყო ლაპარაკი და ყველას უთხრა, რომ ამას არ შეეგუებოდა. მათი დრო დამთავრდა, ყველა პასუხს აგებს. მათ არ იციან, ვისთან აქვთ საქმე და რა ქვეყანაა საქართველო...

თამარ შველიძე

ცოდნა – უსარგებლო, განათლება კი ხელისუფალთათვის საშიში გახდა

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N9 2023)

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის 2022 წლის კატასტროფული მონაცემები ჩავიკითხე და კიდევ ერთხელ გამახსენდა, რამხელა პრობლემის წინაშე ვგავართ. განათლების გლობალური კრიზისი დედამიწის იმ ნაწილშია, სულ რაღაც 30 წლის წინათ ამას რომ ვერც კი წარმოიდგენდნენ. საქართველოში რა გაუნათლებლობაც ტრიალებს და რატომაც, კარგად ვიცი, მაგრამ გერმანიასა და შვედეთს რომ განგაში აქვთ ატეხილი და აშშ ბანს აძლევს, გორდიას კვანძად მექცა. კარგი, ჩვენ გამიზნულად ჩაგვრთეს „ბოლონიის პროცესში“ 2005 წელს ბერგენის სამიტზე და განათლებული ქვეყანა განვითარებად ქვეყნად გვაქციეს, თავიანთ ქვეყნებს რატომღა დამართეს უწიგნურობა?

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მიიჩნეოდა, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკა მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების საქმე იყო და საშინაო საქმეთა სიას მიეკუთვნებოდა. მას შემდეგ, რაც გლობლიზაციამ ყველგან შეაბიჯა, განათლების სფეროც მოიცვა და ეროვნულიდან საერთაშორისო საქმეებში გადაინაცვლა. მიუხედავად ცალკეული დადებითი ასპექტებისა, ბოლონიის პროცესის 10 წლისთავზე დასავლეთ ევროპაში მასობრივი სტუდენტური გამოსვლები მიმდინარეობდა, სტუდენტები ბოლონიის პროცესის შეჩერებას მოითხოვდნენ, რასაც საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტებითა და ფაქტებით ამყარებდნენ. ბოლონიის პროცესი გასცდა ევროპის საზღვრებს და დღეისათვის 47 ქვეყანაა მასში ჩართული. შეკითხვაზე, რატომ შეუერთდნენ სახელმწიფოები ბოლონიის პროცესს, მაგალითად, შვედების პასუხი მოკლედ ასე ყალიბდება: შვედური უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომი არ იქნებოდა აღიარებული სხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების მიერო. როგორც პროცესის მკვლევარები ამბობენ, ბოლონიის პროცესმა, პოზიტიურ ზეგავლენასთან ერთად, დიდი ნეგატიური გავლენა იქონია განათლებაზე. 2005 წლიდან არაერთი სტუდენტური გამოსვლა და საპროტესტო აქცია გაიმართა საფრანგეთში, შვედეთში, ესპანეთში, ხორვატიაში, ავსტრიაში, გერმანიაში... აღმოჩნდა, რომ ბოლონიის სისტემის წევრ ქვეყნებში ერთი და იმავე სახის პრობლემებია. ასეა თუ ისე, აღნიშნული მიზეზის გამო, მიუხედავად პროტესტებისა, ყველა მაინც ბოლონის პროცესის წევრ ქვეყნად რჩება და უმეცრების ზეიმი გრძელდება.

ბრიტანული გამოცემა თჰე თიმეს-ის ცნობით, ამერიკელი ოჯახების სულ უფრო მზარდ რაოდენობას სურს, რომ მათმა შვილებმა დაწყებითი კლასებიდანვე მათემატიკა ისწავლონ ე. წ. საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემით, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს მათ შვილებს უპირატესობას მისცემს შემდგომში უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

აშშ-ში „საბჭოთა სისტემით“ მათემატიკის შესწავლის შესაძლებლობას სთავაზობს საბჭოთა კავშირის დროს აშშ-ში გაქცეული რუსი ემიგრანტების შთამომავალი ალექსანდრ კოლჩინსკი თავის სასწავლებელში ღუსსიან ატჰ თუტორს. ანალოგიურია ბოსტონში დაფუძნებული მათემატიკის რუსული სკოლა, რომელიც ასევე საბჭოთა კავშირიდან ლტოლვილებმა დააარსეს.

მანჰეტენის კერძო სკოლის მასწავლებელმა „ნიუ-იორკ პოსტს“ შესჩივლა, რომ ის სტუდენტები, რომლებიც საბჭოთა პროგრამით სწავლობენ, უარყოფით გავლენას ახდენენ კლასის სხვა მოსწავლეებზე, აკომპლექსებენ მათ და უხერხულ მდგომარეობაში აგდებენ, იმდენად დიამეტრულად განსხვავებულია მათი აზროვნებითი განვითარების დონე.

საბჭოთა განათლების სისტემა, რამდენადაც ვიცი, განათლების პრუსიულ სისტემაზე იყო დაფუძნებული, მაგრამ უპირატესობა, არა მხოლოდ მათემატიკაში ვლინდებოდა, ზოგადად, საუკეთესო სისტემა იყო. სიტყვა „საბჭოთა“ იმდენად აშინებდათ, რომ ყველაფერი მოსპეს და გაანადგურეს, რასაც მსაზღვრელად ერთვოდა და მივიღეთ ის უმეცრება, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით.

სირცხვილით დავიწვი, როცა ქვეყნების ინტელექტის კოეფიციენტის, ანუ გონებრივი განვითარების დონის მიხედვით გაკეთებული ჩამონათვალი ვიხილე.

საქართველო — 85-ე ადგილი!

ცრემლები მომადგა...

ინტელექტის დონით ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა გვისწრებს, ყირგიზეთის გარდა...

ბელარუსი — მე-7 ადგილი;
ესტონეთი — მე-12;
რუსეთი — 35-ე;
სომხეთი — 65-ე;
აზერბაიჯანი — 84-ე;
იაპონია — 1-ელი. მშურს!

მასწავლებელი: „რა დავარქვა ამ სქემას, რაც განათლების სისტემაში დაინერგა განათლების რეფორმის სახელით, სახელს ვერ ვუძებნი — ეს არის კარგად ნაფიქრი და ჩამოყალიბებული სქემა, რომელსაც უნდა მოეშალა განათლების სისტემა. რა შედეგიც მივიღეთ, ის შედეგი მაძლევს ამის თქმის უფლებას. შედეგი მივიღეთ ის, რომ მოსწავლეები სკოლაში არ დადიან, არ სწავლობენ, შესაბამისად, განათლებას ვერ იღებენ და ჩვენ ამის აღმოსაფხვრელი ბერკეტიც არ გვაქვს. ექსტერნი რომ არის, ისიც ამას არ ემსახურება? მოსწავლე არ დადის სკოლაში, იცის, რომ მერე ჩააბარებს, — რაც ყოვლად დაუშვებელია.

როდესაც თავდაპირველად შემოვიდა ეს სქემა, მაშინ ბევრი პედაგოგი არ ჩაერთო. შემდეგ, უკვე მასწავლებელთა გამოცდები რომ დაიწყო, ჩავაბარეთ საგანი, ჩავაბარეთ უნარები და რა იყო, 60 ლარი მოგვემატა? შემდეგ უკვე გავთანაბრდით, ვინც სკოლაში ვიყავით: პროფესორი, ლექტორი, მასწავლებელი — ყველა უნდა გასულიყო გამოცდებზე, სხვაგვარად, უფროსი მასწავლებლის სტატუსს ვერ მიიღებდა.

2015 წელს, ვინც სისტემაში იყო, ყველა ჩაგვრთეს სქემაში. სქემა გვთხოვს იმას, რომ სტატუსი გვქონდეს — უსტატუსო მასწავლებლები სკოლიდან გაუშვეს. 40 წლის სტაჟის მქონე მასწავლებლები გაუშვეს სკოლიდან, რადგან მათ არ ჩააბარეს გამოცდები.

იცით, შეურაცხყოფის გარდა, ის მომენტიც იყო, ვაითუ, ვერ ჩავაბარო და სირცხვილიაო. რატომ, იცით? როდესაც მასწავლებელთა გამოცდების შედეგები ქვეყნდებოდა, ისეთი ხაზი გასდევდა, რომ მასწავლებლები, რომლებმაც ვერ ჩააბარეს, არიან უღირსები, უცოდინრები და ა. შ. მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის დამცემი შეფასება მავანთათვის მხოლოდ სტატისტიკა იყო. როდესაც ასეთ შეფასებას ისმენს მშობელი, რა შთაბეჭდილება ექმნება და რა მდგომარეობაში ვარდები მასწავლებელი, როდესაც მოსწავლე გეკითხება მასწავლებელს: მასწავლებელო, თქვენ გამოცდა ჩააბარეთ? პირველ თუ მეორე გასვლაზე?

მაგალითად, მე სულხან-საბა დავამთავრე და დიპლომში მიწერია: „ისტორიკოსი, ისტორიის მასწავლებელი.“ მერეღა „აღმოაჩინეს“, რომ, ვისაც უმაღლეს სასწავლებელში საგანი „პედაგოგიკა“ ჰქონდა ნასწავლი და ჩაბარებული, თურმე, მას „უნარების“ ჩაბარება არ სჭირდებოდა.

პირველი პროტესტი, იცით, როდის გამიჩნდა? სახელმწიფო, რომელიც გაძლევს დიპლომს, თავის მიერვე გაცემული დიპლომის ანულირებას ახდენს. პირველი შოკი, იცით, როდის მივიღე? სკოლაში მითხრეს, მოვიდა თქვენი გამოცდის შედეგებიო და ველოდები, რა არის დიპლომზე აღმატებული. პატარა ფურცელი მოვიდა, სადაც ეწერა, რომ მომენიჭა მასწავლებლის სტატუსი.

რატომ არის ეს უნდობლობა? ჩემი სუბიექტური აზრია: 90-იან წლებში ლამის ყოველ მეორე სარდაფში „უნივერსიტეტები“ რომ გაიხსნა, მას ჰქონდა უნდობლობა ჩემი დიპლომის მიმართ, რომელიც ნამდვილად სერიოზულმა უნივერსიტეტმა გასცა.



ძალიან ცუდი ტენდენცია დამკვიდრდა, უცხოურს რომ დაუქვემდებარეს ყველაფერი — თუ „იმან“ ჩაატარა რაღაც — ნამდვილია და ფასეულია; თუ „იმან“ თქვა, ეჭვშეუვალია... ასე, „იმან, იმანზე“ თუ არის მიმდგარი საქმე, „იმას“ რომ აქვს ხელფასი, ჩვენც ისეთი მოგვცენ...

მოხსნეს „უნარები“ და დარჩა მხოლოდ საგნის გამოცდები, მაგრამ ახლა რა ხდება: მასწავლებლების კრიზისია და რა ქნან? მოიფიქრეს ასეთი რამ: მასწავლებელმა განგრძოს ის საქმიანობა, რასაც სკოლაში ეწევა და ამ საქმიანობისთვის მიენიჭოს კონკრეტული ქულა, რომელიც იქნება მზარდი და ვინც გადალახავს 61%-ს, მიენიჭოს 10 კრედიტი — მასწავლებლები დაშალეს „კრედიტებად“ და დაიწყო სკოლაში კრედიტებზე მუშაობა.

რა არის ეს კრედიტი? მაგალითად, გავაკეთე პროექტი — ეს ორი კრედიტია; გავაკეთე რაღაც წრე — ერთი კრედიტია; კონფერენცია ერთი კრედიტია, სპეციალურად გაწერილი სამოდელო გაკვეთილი ორი კრედიტია და ა. შ. 19 კრედიტი რომ დამიგროვდება, უკვე შემიძლია მოვითხოვო სტატუსის შეცვლა. სტატუსის შეცვლა გმატებს ფულს. მაშინ იყოს 60 ლარი, შემდეგ — 140, 240 და ახლა გახდა ხუთასზე მეტი.

ჩვენ ჩავაბარეთ ორი გამოცდა — საგანი და „უნარები“. „უნარები“ ბევრმა ვერ ჩააბარა და ამიტომ შემოიღეს ეს კრედიტები. ამას წინ უძღვოდა ის, რომ პენსიონერ მასწავლებლებს მისცეს ორი წლის ხელფასი და გაუშვეს; შემდეგ, ვისაც არ ჰქონდა ჩაბარებული გამოცდები, აღარ მისცეს სკოლაში მასწავლებლობის უფლება. სტატისტიკა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ 9000-ისა და 1500-ის ფარგლებში იყო ორივე კატეგორია. გაჩნდა მასწავლებლების კრიზისი. საიდან გაეჩინათ მასწავლებლები? შემოვიდა „მაძიებლების“ კატეგორია. „მაძიებელს“ საგანი უნდა ჰქონოდა ჩაბარებული. მაგალითად, ვთქვათ, საიჟინრო გაქვს დამთავრებული და მათემატიკის სწავლება შეგიძლია. გახვალ გამოცდაზე, საგანში მიიღებ ქულას, შემოხვალ სკოლაში, მაგრამ, რადგან პედაგოგიკაში განათლება არ გაქვს, ამისთვის შექმნეს უნივერსიტეტებში 60-კრედიტიანი პროგრამა ერთი წლის განმავლობაში. რომელიღაც საგანი კრედიტებად არის დაშლილი, იმ საგნებს გაივლი და მოდიხარ უფროს მასწავლებლად.

რისთვის არის ტრენინგები! — მასწავლებელს უთხრეს, რომ თუ მას უნდა სტატუსის შენარჩუნება რომელიც უკვე აქვს, სავალდებულო ტრენინგები უნდა გაიაროს. გამოცდები რომ ჩავაბარეთ და სტატუსი მოგვენიჭა, ის სტატუსი უნდა შევინარჩუნოთ. სანამ მინისტრს შევხვდებოდი, სტანდარტი წავიკითხე და იცით, რამ გამაოცა? იქ ეწერა, რომ, თუკი დირექტორი ხელშეკრულებას დაუდებს მენტორს (ისეთი უფლება მოვალეობები აქვს, სასწაული! უნდა ამყარებდეს ურთიერთობას სკოლასთან, სკოლის თემთან, რაიონთან, რეგიონთან და სამოკავშირეო დონეზე გადიოდეს) რაც უკვე ბოლო ზღვარია, თუ ვერ გააკეთებს იმას, რაც ჩამონათვალშია, დირექტორს შეუძლია, არ გამოუწეროს მენტორის ხელფასი.

განათლების ექსპერტმა ელიზაბეტ ბადაშვილმა ერთ-ერთ გადაცემაში მართებულად დასვა შეკითხვა: თუ 2000 მენტორი და 4000 წამყვანი მასწავლებელი (10-10 მასწავლებელი უნდა მიიმაგრონ, დაესწრონ მათ გაკვეთილებს და ცოდნის გადაცემის ხარისხი შეუმოწმონ) გვყავს და ამათ, ყველას, ასეთი ვალდებულებები აქვთ, განათლების სისტემა რატომ არ ჰყავაისო?

(გაგრძელება იქნება)

მოსწავლეთა აღზრდა ჩავაბარეთ მათ, ვინც თვითონ არის აღსაზრდელი

„საერთო გაზეთის“ სტუმარია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ომარ გოცაძე

- ბატონო ომარ, ასაკიდან გამომდინარე, ასე ვთქვათ, „ბევრ დროს“ შევესწარით, რას იტყვით, საქართველო დამოუკიდებელია?

— ჩვენ მიმართ დასავლეთის ვასალური დამოკიდებულების გამო, რომელ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი!

როგორც ახლა ამბობენ, „იმ ავადსახსენებელ საბჭოთა კავშირში“, ბევრად უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალი ვიყავით და უფლებებიც მეტი გვქონდა, ვიდრე დღეს. რასაც ახლა ამერიკა და ევროპა გვიკეთებს და ჩვენთვის მიუღებელ უამრავი რამის ჩადენას გვაიძულებს, ამას რუსეთი არასოდეს კადრულობდა. ასე უცერემონიოდ ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა, ჩვენი ინტერესების უგულებელყოფა და მათი ნების უპირობო შესრულება უკვე ნორმად იქცა. ასე მხოლოდ ვასალურ ქვეყნებს ექცევიან. ოდნავი შეწინააღმდეგება და, იმ წუთში რუსოფილად და პუტინის აგენტად მოგნათლავენ. მათ მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დიდი ოდენობით გრანტების გამოყოფამ ანტირუსული პროპაგანდისათვის, თავისი საქმე გააკეთა.

ჩვენთან რუსეთი და რუსი, უკვე შეურაცხმყოფელ სიტყვებად იქცა. ვინც მეტად შეაგინებს რუსეთს და რუსს შეურაცხყოფას მიაყენებს, მაშინვე გმირებად და ქვეყნის პატრიოტებად წარმოაჩენენ, ხოლო საღად მოაზროვნე ადამიანთა ნაწილს, რომლებიც ხელისუფლების მიერ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიღებულ გადაწყვეტილებებს მხარს უჭერენ და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას აანონსებენ, პუტინის მონებად და რუსეთის აგენტებად ნათლავენ.

— ჩვენ „კომუნისტური გადმონაშთები“ დაგვარქვეს იმ ახალგაზრდებმა, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ სსრკ-ზე. ჩვენც ხომ ვიყავით მათი ასაკის, მიტინგებიც გავიარეთ და 9 აპრილიც...

— დააკვირდით, რა ხდება მიტინგებზე, ან რა საზოგადოებაა შეკრებილი. ეს ტინგიცა და მატრაკვეცა გოგო-ბიჭები რა დღეში არიან და რა ლოზუნგებით გამოდიან. რა უნდათ მიტინგზე მოსწავლეებს. სტუდენტებიც, ძირითადად, ნაციონალების ბუდედ ქცეულ „ილიაუნიდან“ და „ალასანიას“ უნივერსიტეტიდან არიან მობილიზებული. ეს ის უნივერსიტეტებია, სადაც ლექციებს ბერძენიშვილები, რატიანები, თუმანიშვილები, თუთბერიძეები, კორძაიები და ძმანი მათნი კითხულობენ, რომლებიც თავიანთი „ლექციებით“ პირდაპირ წამლავენ სტუდენტებს.

მსოფლიოში ცუდი ერები არ არსებობს, მაგრამ ცუდი ზნეობისა და მორალის მქონე ადამიანები ყველგან გამოერევა, ამის გამო მთელი ერი არ უნდა გავლანძღოთ. დააკვირდით ნაცტელევიზიებს, როგორ ძაბავენ სიტუაციას, როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს სიცრუის ტირაჟირებაში, როგორ პროვოკატორობენ.

პირდაპირი სატელევიზიო გადაცემების დროს ეკრანზე ვუყურებით ერთ-ერთ პოლიციელს, რომელსაც გაზის თუ პილპილის სპრეის გასაშვები იარაღი ეკავა ხელში, კონდახი მუცელზე ჰქონდა მიბჯენილი, ლულა კი ცისკენ აშვერილი, ტელერეპორტიორი კი ურცხვად გაჰყვიროდა: ნახეთ, ნახეთ, სპეცრაზმელი როგორ დამიზნებით ესვრის რეზინის ტყვიებს მშვიდობიან მომიტინგესო...

პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ისეთი პროვოკაცია მოუწყონ პოლიციას, რომ მათთან შეტაკებას მსხვერპლი მოჰყვეს და შემდეგ მსოფლიოს მოსდონ, ხელისუფლების ბრძანებით, პოლიციელები „მშვიდობიან“ მომიტინგეებს ხოცავენო.

ჩვენი „დასავლელი მეგობრების“ უშუალო ძალისხმევით განხორციელებული კიევის მაიდნის მოწყობის პირველი მცდელობა, რომელიც ე. წ. „რუსული კანონის“ მიღებასთან დაკავშირებით 2023 წლის მარტში არ შედგა, ახლა ცდილობენ, კვლავ გაიმეორონ და ჩანაფიქრი ბოლომდე განახორციელონ — ყველა მომიზეზი ერთხმად გაჰკივის აკერმანის მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე როზნერის ცნობილი მეთოდებით ნასწავლ დაზეპირებულ ფრაზებს...

— კარგი, ახალგაზრდებისა გავიგეთ, ფეხისხმას არიან აყოლილები და „უფროსის“ მიერ დანიშნული ბელადების ხელის აქნევას ბრმად მიჰყვებიან, მაგრამ მიტინგებზე უფროსი თაობაც ჩანს, მათაც აკერმანის ტრენინგები ხომ არ გაიარეს... იმ კატეგორიის გარდა, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს „თბილად“ ისხდნენ სადღაც, მიტინგებზე სხვებიც არიან...

— მოსახლეობის ნაწილი, ძირითადად, ქვეყანაში არსებული უსამართლობის გამოა განაწყენებული, — 12 წელია, ხელისუფლებაში არიან და ქვეყანაში ელემენტარული სამართლიანობა ვერ აღუდგენიათ. ეს იმდენად თვალსაჩინოა, მტკიცება აღარ სჭირდება. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა, ბატონმა ბარამიძემ პირდაპირ განაცხადა: „სტუდენტების ძირითადად ნაწილში პროტესტი კანონის მიღებით კი არა, ქვეყანაში გამეფებული უსამართლობით არის გამოწვეული“-ო.

სრულიად ვეთანხმები ბატონ ბარამიძეს. სახელმწიფო სტრუქტურებში გამეფებულია საშინელი ბიუროკრატია, რომლის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ნეპოტიზმის შედეგად სტრუქტურებში დასაქმებული არაპროფესიონალი დილეტანტი კადრებია. ხელისუფლების მაღალჩინოსნებიდან მოქალაქეთა მიღება თითქმის არავის აქვს. არავინ მოგისმენს, განცხადებას არავინ კითხულობს და პასუხსაც არავინ გცემს. თითქმის ყველა მათგანი, ხალხის სამსახურის ნაცვლად, დაკავებულია იმით, რომ სანამ თანამდებობაზეა, მოასწროს და თავისი სამსახური თავისივე კეთილდღეობის მოსაწყობად გამოიყენოს, ხალხი კი ყველას ფეხებზე ჰკიდია.

ქვეყანაში, რომ უსამართლობაა გამეფებული, ამის უტყუარ დასაბუთებად ჩემი მაგალითიც კმარა. 2002 წელს აუქციონის წესით მიზნობრივი დანიშნულებით შეძენილ მიწის ნაკვეთზე, საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული ობიექტი მოძალადე "ნაციონალებმა" ბ-ნი უგულავას მეთაურობით არ ამაშენებინეს. ჩემი მრავალგზის წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გვერდით კორპუსის ეზოს მიუმატეს და ზედ სკვერი გააშენეს. ამით, გვერდით კორპუსის მაცხოვრებელები მოისყიდეს და 2008 წლის არჩევნებში მათგან ხმები მიიღეს. აგერ უკვე 23 წელია უხეშად ირღვევა ჩემი კერძომესაკუთრების ხელშეუხლებლობის კონსტიტუციური უფლება, მაგრამ განმკითხავი არავინაა. ამ დავი-დარაბაში, ბოლო ხუთი წლის მიწის გადასახადი არ გადამიხდია, იმ მიწის რომელიც ჩემია, მაგრამ 23 წელია წართმეული მაქვს მისი სარგებლობის უფლება. რისთვისაც საშემოსავლო სამსახურმა დამაჯარიმა და სამჯერ მეტი საურავი გადამახდევინა ვიდრე გადასახადი იყო გადასახდელი. სამწუხაროდ, ამ საკითხის მოგვარება ასე ჭიანურდებოდა მთელი 17 წლის მანძილზე, სანამ ბ-ნი კახა არ ჩაერია საქმეში. მონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტა თითქმის მიყვანილია ბოლომდე, მაგრამ 2024 წელს ჩემთვის გაუგებარი მიზეზით რატომღაც გაჭიანურდა. ბოლო განცხადება მერიაში იანვრის ბოლოს შევიტანე, რომელზედაც შუამდგომლობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა, ცნობილმა მეცნიერმა და საზგადო მოღვაწემ, შესანიშნავმა პიროვნებამ და უკეთილშობილესმა ადამიანმა, აკადემიკოსმა ბ-ნ რამაზ ხუროძემ გამიწია. როგორც ვიცი, ბ-ნ კახა დიდ პატივს სცემს მეცნიერებს და მათ ღვაწლსაც ჯეროვნად აფასებს. იმედია, ამჟამად გაითვალისწინებს მეცნიერებათა აკადემიის ამ შუამდგომლობას და საკითხს ოპერატიულად გადაწყვეტს.

ხალხი ყველაფერს კარგად ხედავს, მათ შორის, ზოგიერთი ჩინოვნიკის ზღვარგადასულ გაუმაძღარ მადასაც. ხალხი იმასაც ხედავს, რომ თანამდებობიდან წასულ ჩინოვნიკებს, შემდგომში, რატომღაც ბიზნესის კეთების განსაკუთრებული ნიჭი აღმოაჩნდებათ ხოლმე. ეს ყველაფერი ხალხს აღიზიანებს და

ხელისუფლებისგან ისედაც დისტანცირებულებს, მათგან კიდევ უფრო აშორებს...

—ბატონო ომარ, არ დაგავიწყდეთ, კურსი ევროპისკენ გვაქვს აღებული...

- ამათი სანუკვარი ევროპის შესახებ თქვა იაროსლავ კაჩინსკიმ: „პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, როდესაც ვარშავა ემორჩილებოდა მოსკოვს, პოლონელებს უფრო მეტი უფლება ჰქონდათ, ვიდრე დღეს ევროკავშირში. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ის ხელმძღვანელობა არ აღიარებდა ფერმერებსა და კათოლიკურ ეკლესიას, ისინი პოლონეთში არსებობდა. დღეს კი ევროკავშირის ინსტიტუტები, მისი მაღალჩინოსნები, ვიღაც პოლიტიკოსები, რომლებიც პოლონელებს არ აურჩევით, ჩვენი კულტურის ვერიფიკაციას მოითხოვენ და უარყოფენ ყველაფერს, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია“-ო და ჩვენ რას გვიზამენ, ხომ წარმოგიდგენიათ?

მსოფლიოში უფასო არაფერია და ევროპაშიც უფასოდ არავინ მიგვიღებს. თუ მიგვიღებენ, მაშინაც ყოველთვის მათი ინტერესების გამტარებელი და უშუალო დაკვეთის შემსრულებელი მეორეხარისხოვანი ქვეყანა ვიქნებით, ჩვენი მოვალეობა კი ყოველთვის საზარბაზნე ხორცისა და რუსეთის „სადგისის“ როლში ყოფნა იქნება. ჩვენ ხომ მათთვის ჩვეულებრივი უუფლებო მონები ვართ. ამიტომ, დროა ჭკუას მოვუხმოთ და მგლის წინ მორბენალ კვიცს არ დავემსგავსოთ.

ეს ავანტიურა, რაც დღეს ქვეყანაშია წამოწყებული, ქვეყნის გარეთაა დაწერილი, ჩვენ მხოლოდ შემსრულებლები ვართ.

ხომ ხედავთ, დასავლეთი არ გვპატიობს მათი უშუალო დაკვეთის შეუსრულებლობას. ახლა ამას უარყოფენ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება...

ძალიან მაინტერესებს, ეს „გულანთებული“ და მკერდზე მჯიღის მცემი ახალგაზრდობა, ახლა რომ დიდ გულზე არიან, თანაც ისე „მაგრეები“, რომ არაფრის შეშინათ, რატომ არ ფიქრობენ იმაზე, ომის დაწყების შემთხვევაში, სწორედ თვითონ რომ არიან სამხედრო სამსახურში გასაწვევი ასაკისანი და სწორედ მათ რომ მოუწევდათ საზარბაზნე ხორცად გახდომა და ფრონტის წინა ხაზზე ბრძოლა. ამათი ბრძოლის ამბავი რომ ვიცი, ერთი ავტომატიანი რუსი ჯარისკაცის გამოჩენაზე, თავიანთი დამმოძღვრავი ნაციონალებისით წითელი ხიდისაკენ უკანმოუხედავად მოკურცხლავდნენ, ხალხს კი, როგორც ეს 2008 წელს გააკეთეს, ამ გავეშებულ და კბილებდალესილ რუსულ დათვს შეგვატოვებდნენ ხელში.

ისე როგორ უნდა დაეცე და სული ეშმაკს მიჰყიდო, რომ შენი ქვეყნის დამამცირებელ გადამთიელებს ტაში დაუკრა და აპლოდისმენტებით შეხვდე...

— ევროპა, რუსეთი, აზია და სამხრეთით — თურქეთი. მწირი არჩევანი გვაქვს, თუმცა, თურქეთი ტყუილად ჩავჩხირე, რუსეთი აბალანსებს...

— არა მგონია, დღეს ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ყოველგვარი სისხლის დაღვრის გარეშე შეუძლია ჩვენი რეგიონების დაბრუნება, ეს

10 გვ.

მოსწავლეთა აღზრდა ჩავაბარეთ მათ, ვინც თვითონ არის აღსაზრდელი

← 9 გვ.

არის რუსეთი. ბევრჯერ მითქვამს, რომ რუსეთის კეთილი ნების გარეშე ვერავითარი ნატო და ევროკავშირი ჩვენ აფხაზეთსა და ოსეთს ვერ დაგვიბრუნებს, დაკარგვით კი, შეიძლება ქვეყნის რაღაც ნაწილი კიდევ დაგვაკარგვინონ. ნუთუ, ვინმეს მართლა სჯერა, რომ „ერთი ციცქნა“ საქართველოს გულისთვის დასავლეთი რუსეთს ომს დაუწყებს? ჩვენი გულისთვის კი არა, უკრაინისთვის ვერ გაბედეს რუსეთის წინააღმდეგ პირდაპირ საომარ მოქმედებებში ჩაბმა, იმ უკრაინისთვის, რომლის გაუბედურების, გაჩანაგება-გაპარტახების ხარჯზე, მარტო ამ ორ წელიწადში, ამერიკასა და ევროპაში მილიარდები იშოვეს. ამიტომ, დროა, რუსეთის ლანძღვა-გინებას თავი დავანებოთ და მათთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა აღვადგინოთ.

— ძნელია ამის ახსნა იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც, უპირველესად, სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი თვალსა და ხელშუა უყალბებს რეალობას...

- დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ განათლების სამინისტროში მინისტრებისა და მისი მოადგილეების გარდა, არაფერი იცვლება, ყველა მუშა ორგანო ნაციონალი კადრებითაა დაკომპლექტებული. სამწუხაროდ, ამ მიმართებით, როგორც სამინისტროში, ასევე მთელ სისტემაშიც, დღემდე არაფერი შეცვლილა. ამას ემატება თავის დროზე ლომაია-შაშკინის მიერ ნაციონალი აქტივისტებისა და სასჯელაღსრულების სისტემიდან მოყვანილი და სკოლის დირექტორებად და მასწავლებლებად დანიშნული არაკომპეტენტური კადრები, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში ისე მომძლავრდნენ, რომ თავიანთ სიტყვას ამბობენ და გადამწყვეტ როლს თამაშობენ მოსწავლეთა არასრულყოფილ აღზრდასა და მათ არასრულფასოვან, უზნეო ადამიანებად ჩამოყალიბების საქმეში.

მოკლედ, მოსწავლეთა აღზრდა ჩავაბარეთ მათ, ვინც თვითონ არის აღსაზრდელი. ეს ხალხი, აქამდე თუ სკოლის კედლებში ეწეოდნენ თავიანთ მავნებლურ საქმიანობას, ახლა ისე გათამამდნენ, რომ მიტინგებზე თავიანთი აღზრდილი მოსწავლეების მხარდამხარ დგანან, დანარჩენებსაც მოუწოდებენ, მათ შეუერთდნენ და მიტინგებში მიიღონ მონაწილეობა. ნონსენსი ამაზე მეტი გაგონილა?

ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებელი მოსწავლეს მიტინგიდან უკან, სკოლაში დაბრუნებაზე მოუწოდებდეს, პირიქით იქცევა და მიტინგზე ეპატიჟება...

ამიტომ არის, რომ ეს უბედურება, რომელსაც მოსწავლე-ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილის დეგრადაცია ჰქვია, სკოლიდან იწყება, რომელსაც საფუძველი განათლების სისტემაში დასავლეთის მიერ თავსმოხვეულმა რეფორმებმა დაუდო. ყველაფერ ამას განათლების სამინისტროს მიერ გატარებული სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებელი მცდარი პოლიტიკაც ემატება და, მივიღეთ ის, რაც არის.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს „მოსწავლის უფლებების“ შესახებ ამდენი ყვირილი, აქცენტი მათ მოვალეობის შესრულებასა და ზნეობრივად აღზრდაზე უნდა გადავიტანოთ!

ამ 20 წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ყველა ის უბედურება, რაც ახლა ქვეყანაში ტრიალებს, ნაციონალების მიერ გატარებული რეფორმების შედეგია. „ნაციონალებს“ ისე მყარად აქვთ ფესვები გადგმული სახელმწიფო სტრუქტურებში, რომ თვით უშიშროების სამსახურშიც კი ლაღად გრძნობენ თავს და იქიდან სისტემატიურად აქვეყნებენ საიდუმლო ინფორმაციას. ამიტომ, მცირე გამონაკლისის გარდა, რომლებიც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, პირნათლად ემსახურებიან თავის საქმეს, ნაციონალი კადრებისაგან ქვეყანა მთლიანად უნდა გაიწმინდოს, ვაკანსიები კი ქვეყნის ინტერესების გამტარებელი პროფესიონალი კადრებით შეივსოს. სანამ ეს არ მოხდება და ქვეყანა არ გაიწმინდება ამ ავადსახსენებელი სენის ნარჩენებისაგან, სულ ასეთი არეულობა, არასტაბილურობა იქნება და მუდამ ორად გახლეჩილი საქართველო გვექნება გადასარჩენი.

„საერთო გაზეთი“

ეს „ტრაგიკომედია“ უნდა დასრულდეს!

შემაშფოთებელია კედლებზე წარწერის წაკითხვა: „ მოკალი ქოცი“, მოწოდება „კერძებში ჩააფურთხე“, „84 ტყვია დეპუტატს“ და ა. შ.

იგივე სიტყვები რომ დაეწერა ვინმეს ნაცებზე, „მოკალი ნაცი“, „ჩაუფურთხე ნაცს კერძში“, „60 ტყვია ნაც დეპუტატს“, როგორი რეაქცია ექნებოდათ უსამშობლო და ღირსებაწამხდარ ნაციონალებსა და მათ მხარდამჭერ ქვეყნის ამრევებს?

დროშასავით ააფრიალებდნენ და მსოფლიოს მოსდებდნენ, აი, ნახეთ, საზოგადოებას როგორ გვიპირისპირებს ქვეყნის მმართველი პარტიაო!

საიდან მოდის ეს დანაშაულებრივი და არაფრად საპატიებელი სიკვდილისკენ მოწოდებები?

ალბათ, სიძულვილიდან, ღვარძლიდან, ზიზღიდან?

მოსახლეობას ახსოვს სააკაშვილის ლაქიის კატეგორიული მოთხოვნა, „ორი გვამი მჭირდება.“

ახლა ორი გვამი მათთვის ცოტაა, მეტი უნდათ. მასიური მკვლელობებისკენ მოუწოდებენ ისედაც ემოციურად დაძაბულ საზოგადოებას .

ყოველმხრივ ხელმოცარულები, ძალადობრივ მოწოდებაზე ამბობენ, „ადამიანებს უფლება აქვთ საკუთრი, ნებისმიერი შეხედულება გამოხატონო.“

კოშმარია პირდაპირ! მართლაც საშუალება და მდგომარეობა რომ მიეცეთ, გვამებს დაახვავებდნენ და ამას გააკეთებდნენ სიამოვნებით.

ძირითადად, ახალგაზრდებს მინდა მივმართო. ჩემო შვილებო და შვილიშვილებო, ხომ დარწმუნდით, რომ ეს არევ-დარევა და უშედეგო რევოლუციური გადატრიალების სურვილი უცხო ძალების მიერ მართულია. შიდა მტრების არაფრით გამართლებული, ქვეყნის აყირავების უბადრუკი, მერამდენე მცდელობაა?

ბოროტსა და მზაკვარს არ შეიძლება, კეთილი მიზანი ჰქონდეს. ნუ იქნებით ბოროტების ნაწილი!

რასაც ისინი კადრულობენ. „ქოცი“ იმას არ იკადრებს!

თქვენ, ჩემო ძვირფასებო, გიყვნებენ თქვენი ალალი, პატრიოტული სულისკვეთების გამო, რასაც გულწრფელად ავლენთ.

განა ჩვენ, მილიონ ორასი ათასი ადამიანი, თქვენ გვერდით არ დავდგებოდით, ხელისუფლების ხელში ძალადობით ჩაგდების სურვილით გაჟღენთილი, ქვეყნის გამყიდველი ოპოზიცია მართალ გზაზე რომ იდგეს? ბევრი თქვენგანი (რადგან პატარები იყავით) არ მოსწრებია იმ კოშმარს და განუკითხაობას, რაც ნაცების მთავრობის დროს ხდებოდა.

ჩვენ, ქვეყნის და დემოკრატიისმოყვარე საზოგადოებამ გავაგდეთ ის მავნე, პედოფილების, ლესბოსელების, ტრასგენდერების, ახალგაზრდების ქუჩაში დამხოცავი და ეროვნული ტრადიციების ფეხქვეშ გამთელავი, უზნეობის, უკეთურობის მთესველი ხელისუფლება.

დღეს შვიდობა და ეკონომიური წარმატებები გვაქვს ქვეყანაში. რაიმე უმსგავსობა რომ ხდებოდეს, ჩვენ გამოვიდოდით ქუჩაში და დავდგებოდით თქვენ გვერდით, მაგრამ, საბედნიეროდ, ქვეყანა წინ მიდის ყველა მიმართულებით. სოციალური დახმარებები და პენსიები იზრდება, დამშვენდა ქალაქები და სოფლები. სპორტში საოცარი მიღწევები გვაქვს. ჩვენს ქვეყანაში ტარდება მსოფლიო და ევროპის დონის ჩემპიონატები.

მოსყიდულ ოპოზიციას ეს არ ახარებს. ქვეყნის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრიც კი არ უნდათ.

ვერ გაიგეს ამ ცოდვით სავსეებმა, რომ ვეღარ მობრუნდებიან ხელისუფლებაში. ვერ დაჯეჯილდება მათი „დათესილი მარიხუანის ყანა“. ქვეყნისა და თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობა ამას არ დაუშვებს.

ხალხთან ერთად, ხელისუფლებას მშვიდობიანი, თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა სჭირდება.

ჩვენი ქვეყნის ბევრ მოქალაქესთან ერთად, მივესალმები ხელისუფლების ინიციატივას, გამკაცრდეს სისხლის სამართლის კოდექსი. განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც საუბარია დანაშაულისკენ მოწოდებასა და ადამიანების მიმართ მუქარასა და შეურაცხოფაზე.

ამას წინათ ერთმა ტელევიზიით შშპ პირებს დასცინა.

შვილიშვილი მყავს ეტლით მოსარგებლე. სკოლის მოსწავლეა. ილია ნიჭიერია, მისი ზღაპარი ჟურნალ „დილაში“ დაიბეჭდა. ძალიან მგრძნობიარეა. საღამო იყო, როცა მოისმინა შეურაცხყოფელი ბოდვა. ისე ანერვიულდა, კედელს ურტყა ხელები, „რატომ უნდა დაგვცინონ, რატომ ვართ საქილიკოო“, ძლივს დავამშვიდეთ. დილით, სკოლაში წასასვლელად რომ ემზადებოდა, მითხრა, „ბაბუ, ვინ არიან ესენი, ჩვენ რა დავუშავეთო?“

ჩაწითლებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ ღამე მშვიდად არ ეძინა, ნერვიულობდა. მჯერა, იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ სათნო, უწყინარი და სიკეთის მომლოდინე ადამიანები, რომლებმაც მათზე ქილიკი მოისმინეს.

ვუთხარი ილიას, რომ, სამწუხაროდ, არიან ადამიანები,რომლებიც ყველაფერს კადრულობენ. მათ არაფერი აქვთ კეთილშობილური, დადებითი და ღვთიური.

გვახსოვს პარაოლიმპიელებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. იმ პარაოლიმპიელების მიმართ, რომლებმაც ყველა სინჯის მედლები მოუპოვეს საქართველოს და მათ პატივსაცემად მრავალგზის აჟღერდა ეროვნული ჰიმნი.

ქვეყანის განვითარებას სუფთა გულის პატრიოტი, გულმხურვალე, ნიჭიერი და მეცენატი ადამიანები სჭირდება და არა ისინი, ვინც სიკვდილისკენ და კერძებში ჩაფურთხებისკენ მოუწოდებენ, ვინც შინ და გარეთ მტრობს ქვეყანას.

ვერა და ვერ გამოჩნდა ოპოზიციის რიგებში ჭკუადამჯდარი ადამიანი, რომელიც დადებითზე, საზოგადოების გაერთიანებაზე, ქვეყნის ეკონომიურ გაძლიერებაზე ილაპარაკებს. იმაზე ილაპარაკებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მოითხოვოს სხვა პირთა თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, მათი უფლებების მეტი დაცვა, სრულფასოვანი ცხოვრებისა და საზოგადოების ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მიკვირს, როგორ მივიდა ქართული საზოგადოების ნაწილი ავადმყოფურ ემოციურობამდე. რატომ მოქმედებენ მთვრალი კაცის სინდრომით?

ეს ტრაგიკომედია მალე უნდა დასრულდეს. მოსახლეობას მოსწყინდა ამ უსამშობლოების პარპაში და წოწიალი შინ და გარეთ. ამიტომ საზოგადოება მიესალმება მკაცრი ზომების გატარებას. ჩადენილი დანაშაულის მიხედვით ყველას შესაბამისი პასუხი უნდა მოეთხოვოს!

ბორის დავითაია
სენაკის საპატიო მოქალაქე,
სამეგრელოს უხუცესთა
საბჭოს წევრი

ქუჩაში გამოსულთა მოთხოვნები უსაფუძვლოა!

(დასასრული. დასაწყისი „სგ“ N3)

იმის განცხადება, რომ ისინი უდანაშაულოები, თანაც პოლიტიკური პატიმრები არიან, არაფერს ნიშნავს და უსამართლო, უპასუხისმგებლო და უზნეო განცხადებაა. მაშინ რა ვუყოთ ნათურებით გაჩირაღდნებულ ღამეში ქვეყნის დასანახად მომხდარ ფაქტებს? ვინ არის დამნაშავე, თუ არა იქ მონაწილე დაპატიმრებული პირები? თვალი დავხუჭოთ და არ დავინახოთ? ან იქნებ, ეს უცხოპლანეტელებმა მოაწყვეს და გაფრინდნენ? ასევე, უდანაშაულობასთან ერთად, პოლიტპატიმრებად მათი გამოცხადება მიუღებელია, მაშინ, როცა წმინდა დანაშაულებრივ ქმედებებთან გვაქვს საქმე და არა პოლიტიკასთან.

არ შეიძლება შავზე თქვა, რომ თეთრია და პირიქით. ხალხის, საკუთარი სინდისისა და ღმერთის წინაშე მართალი ხომ უნდა იყო? ცხადია, დანაშაული არ უნდა ჩაიდინო, მაგრამ თუ მაინც ჩაიდენ, მაშინ შესაბამისი სასჯელიც უდრტვინველად უნდა მიიღო, მას არ უნდა განერიდო და შემდეგ სასჯელმოხდილმა, გარკვეულწილად პირნათელმა, როგორც უკვე ვალმოხდილმა, ამაყად, თავაწეულმა იარო. დამსახურებული სასჯელის მოხდა თავისუფალყოფს პიროვნებას, როგორც შინაგანად, ისე გარეგანად. შინაგანად იმით, რომ პირნათელი ხარ საკუთარი სინდისის წინაშე, ხოლო გარეგანად იმ მხრივ, რომ ასევე ვალმოხდილი ხარ საზოგადოების წინაშე. ამასთან ერთად, ასეთი მიდგომით არ დაიბუდებს უსამართლობა, არ იბატონებს დაუსჯელობის სინდრომი და ქვეყანას არ მოიცავს განუკითხაობა და ანარქია. ამ საკითხზე ყველაზე მეტად უნდა ფიქრობდნენ ის ადამიანები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ, რომ ქვეყანაზე მზრუნველი პოლიტიკოსები არიან; თუ სინამდვილეში მართლა სამშობლოს ბედი აწუხებთ და არა მტყუანის გამართლება და მართლის გამტყუნება. ასეთი გაუკუღმართებული პოზიცია ქვეყანას საერთოდ არ წაადგება.

ყველასთვის აშკარა, ცხად ფაქტებზე ასე ურცხვად ტყუილი განაცხადო, რომ დაკავებულები უდანაშაულოები არიან და მათი გათავისუფლება მოითხოვო, უსამართლობასთან ერთად, უზნეობაც არის, რაც ე. წ. ოპოზიციისადმი ნდობის დაკარგვას შობს, ხოლო ასეთი და მსგავსი ქმედებებით ხალხში ნდობადაკარგულები, საკითხავია, როგორღა და რის საფუძველზე ლაპარაკობენ ხალხის სახელით? აქაც ცოდვას სჩადიან. ამასთან ერთად, ჩნდება ასეთი შეკითხვა: მაშინ ყველა პატიმარს შეუძლია, ასე განაცხადოს და ისინიც რატომ არ უნდა გათავისუფლდნენ, სამართლიანობა ხომ ყველას მიმართ ერთი საზომით მიდგომას მოითხოვს? ცხადია, ამის დაშვება შეუძლებელია, რადგან ეს სახელმწიფოს არსებითი, კერძოდ, დანაშაულის აღკვეთას, წესრიგისა და სამართლიანობის დამყარების ფუნქციის გაუქმებას გამოიწვევს.

ე. ი. გამოდის, რომ მათი მოთხოვნა უზნეობასა და უსამართლობასთან ერთად, ანტისახელმწიფოებრივიცაა, ამ მოთხოვნით უპირისპირდებიან არამხოლოდ არსებულ ხელისუფლებას, არამედ სახელმწიფოებრიობასაც, ხოლო სახელმწიფოებრიობის გარეშე არც ეროვნული დამოუკიდებლობაა, არც თავისუფლება, არც განვითარება და კეთილდღეობა. აი, სადამდე მივყავართ მათ ე. წ. ჰუმანურ, თანაგრძნობით აღსავსე მოთხოვნას, რაც მიუღებელი და დაუშვებელია. ამას გვკარნახობს ჯანსაღი ლოგიკა.

ნათქვამია, ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედა, ცოდვა ხომ არ ჩავიდინეო. გეკითხებით პროტესტანტებს, თქვენ რა გემართებათ, ამ ამბებისა და ჩადენილი ქმედებების შემდეგ, ვიმეორებ, როგორ ამბობთ, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ და უდანაშაულონი არიან. დაუშვათ, ხალხის არ გრცხვენიათ, ღმერთს რაღა პასუხს აძლევთ? უკვე ყველა საზღვრებიდან გახვედით?

ერთი რამ ნათელია, მათი საუბრის, განცხადებების, მოთხოვნებისა და მოქმედების ყველა ნიუანსი ცხადყოფს, რომ მათთან სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ხელი აქვთ აღებული სინდისზე და ყველაფრის მკადრებლები არიან. ნათქვამის უდავო დასტურია ამ ხანებში ერთ-ერთ ტელეარხზე ახალგაზრდა მამაკაცის გამოსვლა. მაშინ, როცა ეკრანის ნახევარზე გადის ვიდეო და აშკარად ჩანს, ე. წ. ჟურნალისტმა ქალმა ბათუმში, თუ როგორ ჩაავლო პოლიციის უფროსს ხელი, მოზიდა და სახეში გაარტყა, ამ ჩვენების პარალელურად, გამომსვლელი აცხადებს, ხელი არ დაურტყამსო. ეს არის მათი საერთო ხელწერა და გარედან მიცემული დირექტივის განხორციელება, უარყონ ყველაფერი, რაც მათ ხელს არ აძლევთ და თუ სჭირდებათ, იგივე სხვას დააბრალონ. ამათთვის თურმე, თავისუფლება ნიშნავს ზნეობრივი და იურიდიული ნორმებიდან გასვლას. ჩანს, მათი პრინციპი ასეთია: რაც მათთვის სასარგებლო და მისაღებია - კარგია, ხოლო, რაც მათთვის საზიანოა, მიუღებელი და ცუდია. აი, სადამდე არიან დასულები და სამართლიანობა როგორ ესმით. ეს სატელევიზიო სიუჟეტი სრულიად ააშკარავებს მათ ზნეობრივ და სამართლებრივ სახეს და დანარჩენ მხარეებზე ლაპარაკის ადგილი არ არის. აქედან გამოსვლის ერთი გზა რჩება, კანონის წინაშე ყველას მიმართ თანასწორობის განხორციელება და ყველა დამნაშავის შესაბამისად დასჯა. ამასთან ერთად, ზნეობის თავის კუთვნილ საპატიო ტახტზე აყვანა, რომელიც დამხობილია და ურცხვობით შეზავებული უზნეობა ქვეყნის წალეკვას ლამობს. ხელყოფილია კანონიც და ზნეობაც, რომელთა დამცველები არიან, ერთის პოლიცია, ხოლო მეორისა - სინდისი. მათი შებღალვით კი ზეობს თავგასულობა, რომელიც დანაშაულთა წყაროა და ამას წერტილი უნდა დაესვას.

აქვე პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აშკარაა, როგორც 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების წინ გამოსვლები არ იყო ოპოზიციონერობა და მავანმა პირად წყენას, ამბიციებს და კარიერისტულ ინტერესებს გადააყოლა საქართველოს მომავალი. არც კი შეყოვნებულან, ისე იქცნენ მტრის დასაყრდენ იარაღად და ქვეყანა დააქციეს, ასევე დღევანდელ გამოსვლებს არანაირი კავშირი არა აქვს ოპოზიციონერობასთან და ოპოზიციის სახელით კვლავ პირადულიდან გამომდინარე ქვეყნის მტრობაა და მას არანაირი გამართლება არ ეძებნება. ე.წ. ევროპული გზის მოტივით წარმოადგენენ უცხო ძალების კოლონიური პოლიტიკის გამტარებლებს, შემდეგ შემოთავაზებული იდეოლოგიით და ინსტრუქციებით, კარგი ცხოვრების ყალბი დაპირების მოლოდინის ოცნებაში, რასაც შედეგად მოჰყვება ქართველი ერის გადაშენება. გლობალიზმის ამოცანაც ხომ ეს არის.

ამიტომ წერტილი უნდა დაესვას ხალხის სახელით ამ ანტიეროვნულ ფსევდოოპოზიციურ აგენტურულ პროცესს და ქვეყანას მიეცეს ეროვნული, ნორმალური განვითარების საშუალება. ისიც უნდა ითქვას, რომ იმათაც, როგორც ამათ, არ უხაროდათ ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმატება და ცდილობდნენ, რაც შეეძლოთ, თვით საერთაშორისო ასპარეზზეც, ხელი შეეშალათ. მაგალითად, ისინი ცდილობდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გაერო-ს არ ეღიარებინა. მათ მსგავსად, ესენი ეცდებიან, რომ არჩეული ხელისუფლების კანონიერება არ აღიაროს უცხოეთმა. ერთი რამ საკითხავია, თუ ქვეყანა გიყვარს და მასზე ზრუნავ, მაშინ რატომ უნდა გსურდეს მისთვის ზიანის მიყენება? რატომ უნდა გიხაროდეს და იღვწოდე, უცხო ძალებმა საზიანო ზეწოლა მოახდინონ შენს საკუთარ ქვეყანაზე? რატომ იყურები გარეთ? ქვეყნის გარეთ ძალისა და დასაყრდენის მაძიებელ განდგომილს არასდროს მოუტანია სიკეთე. ცხადია, გამოდის, საკუთარი ქვეყანა არ გენაღვლება და სხვა მიზნები გაქვს. ამასთანავე, მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ არ იყო ასეთი სიძულვილის ენა და ბილწსიტყვაობა. მაღალი იყო კულტურა და თავშეკავება. სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ესენი ზღვარს ქვემოთ არიან დასულები.

ახლა დავუბრუნდეთ დანაშაულების დაწყების რეალობას, რომელიც ასეთი იყო: არჩევნებით არასასურველი შედეგის მიღების გამო, ე. წ. ოპოზიციის სახელით არსებულ აგენტურას ქვეყნის გარედან პატრონებმა მოუწოდეს ქუჩაში გამოსვლებით სიტუაციის გამწვავებისა და სახელმწიფო გადატრიალებისაკენ, რის გამოც მოხდა დანაშაულებრივი ფაქტები, ანუ ახალგაზრდებს ჩაადენინეს კანონიდან გასული ქმედებები, ხოლო გეგმის განხორციელება, რომ არ გამოუვიდათ, მათივე კარნახით აქციები გადაიზარდა მშვიდობიან ფორმაში. ამ გზით სურთ გადაფარონ მომხდარი აგრესიული დანაშაულებრივი ქმედებები და წარმოდგნენ უცოდველ კრავებად, ხოლო დაკავებულების გათავისუფლების მოთხოვნა, ისე, როგორც დანარჩენი მოთხოვნები, სჭირდებათ აქციების გაგრძელების საბაბად, რომ ქვეყანაში როგორმე მიაღწიონ დესტაბილიზაციას, შექმნილი ვითარებით ისარგებლონ და დაინტერესებულმა გარეშე ძალებმა ხელისუფლებაში მოიყვანონ სასურველი, თავიანთი მორჩილი მთავრობა, როგორც დღემდე იყო. აი, ამ ყველაფრის, რომ იტყვიან, ალფა და ომეგა.

ასე რომ, მიმდინარე აქციები ნაკარნახევია ქვეყნის გარედან და ემსახურება არა საქართველოს, არამედ უცხო სახელმწიფოების ინტერესებს, ხოლო შესაბამისად, წამოყენებული მოთხოვნები პირწმინდად არის უსაფუძვლო და მიუღებელი, აღნიშნულის თაობაზე ღრმად დაფიქრება მართებთ აქციის მონაწილეებიდან იმათ, ვისაც გულის სირღმეში მართლა სამშობლოს ბედი აწუხებთ და აფიქრებთ.

ამბროსი კავლელაშვილი
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დონალდ ტრამპი: არ მინდა, რუსეთს ზიანი მივაყენო – მე მიყვარს რუსი ხალხი

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების 47-ეს პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ოვალურ კაბინეტში მეორედ შესვლამ მსოფლიოში სერიოზული პოლიტიკური რყევები გამოიწვია.

აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ბევრი მოწინააღმდეგე გაიჩინა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გასულ კვირას ვაშინგტონში ისრაელის პრემიერ-მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს ჩასვლა. ისრაელის მიმართ ტრამპის ლოიალური დამოკიდებულება ცნობილია. ნეთანიაჰუს ვიზიტი განსაკუთრებული აღმოჩნდა, თუნდაც იმ მიზეზით, რომ იგი პირველი იყო მსოფლიოს ქვეყნების მეთაურთაგან, ვინც ოფიციალურად შეხვდა ტრამპს ინაუგურაციის შემდეგ. თუმცა, ნეთანიაჰუ ორი დღე ელოდებოდა ტრამპთან შეხვედრას პრეზიდენტის დატვირთული გრაფიკის გამო.

ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას ტრამპი ახლაც ცდილობს. თუმცა, ერთობლივ ბრიფინგზე გაკეთებულმა მისმა განცხადებამ მსოფლიო საზოგადოებაში ერთგვარი შოკიც კი გამოიწვია. პრეზიდენტმა წამოაყენა იდეა — ღაზას სექტორიდან ადგილობრივი მოსახლეობის გასახლების შესახებ, დანგრეული ქალაქების ადგილზე კი საკურორტო ზონა აშენდება.

შეთავაზებული წინადადებით ნეთანიაჰუ აშკარად კმაყოფილი იყო, რასაც არც მალავდა. თავისთავად, მიღწეული დროებითი ზავის პირობებით, ისრაელს უნდა გაეყვანა ჯარები ღაზას სექტორიდან. ახლა, მსგავსი წინადადების შედეგად, ვიდრე აშშ ღაზას სექტორში არ შევა, ისრაელის არმია ავტომატურად დარჩება იქ. მოკლედ, ახლო აღმოსავლეთში ვითარების განმუხტვის ნაცვლად, საპირისპირო შედეგი დადგა.

აჟიოტაჟი იყო პანამის არხისა და კუნძულ გრენლანდიის შესახებ ტრამპის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ. დანიის ხელისუფლებას, რომლის დაქვემდებარებაშიც არის დღეს კუნძული, საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა მხარდაჭერა გამოუცხადა და საკუთარი შეიარაღებული ძალების კუნძულზე შეყვანა შესთავაზა. მაკრონს მხარი გერმანიის ჯერ კიდევ მოქმედმა კანცლერმა, ოლაფ შოლცმაც დაუჭირა.გასულ კვირას პანამაში პირველი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი, მარკო რუბიო, რომელმაც განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლებასთან მიაღწია შეთანხმებას აშშ-ის გემების სავალდებულო მოსაკრებლის გადასახადებიდან გათავისუფლების შესახებ. საპასუხოდ, პანამის პრეზიდენტმა ხოსე რაულ მულინონმა გავრცელებული ინფორმაცია უარყო და განაცხადა: „...ჩვენს ხელისუფლებას არ შეუძლია გაათავისუფლოს დაწესებული გადასახადებისა და ტარიფებისგან არხის მომსახურებისგან ნებისმიერი ქვეყანა. ეს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციური უფლებაა. ამიტომაც გაოცებული ვარ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით“.

ექსპერტები რეალურად შეაშინა ორივე ქვეყნის მეთაურის მსგავსმა მკვეთრმა განცხადებამ, რადგან, თუ აშშ გადაწყვეტს, ძალის გამოყენებით შევიდეს გრენლანდიაში, მსგავს შემთხვევაში, ნატო-ს წევრი ქვეყნები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან იარაღით. ამასთან, ალიანსის მთავარ დონორ ქვეყანასაც. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მოვლენების მსგავსი განვითარების შემთხვევაში, ნატო, შესაძლოა, დაშლის პირამდეც მივიდეს.

ბრიტანეთის დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები შიშობენ, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია მათ კარიერაზე უარყოფით გავლენას მოახდენს, ამიტომაც ცდილობენ დაასწრონ და მათვე დაუგონ „ხაფანგი“.

გასულ კვირას კიევში მოულოდნელი ვიზიტით ჩავიდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ ლემმი, რომელმაც უკრაინას 55 მლნ გირვანქა სტერლინგი სამხედრო დახმარება გადასცა.

ანალიტიკოსების შეფასებით, ბრიტანელები ცდილობენ, ჩაშალონ რუსეთისა და უკრაინის საკითხებში დონალდ ტრამპის პირადი წარმომადგენლის, კიტ კელლოგის სამშვიდობო გეგმა, რომელსაც იგი ამ კვირაში გააჟღერებს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე.

აქ საგულისხმოა გერმანიის ყოფილი კანცლერის, ანგელა მერკელის პოზიცია, რომელიც სრულად უჭერს მხარს ჯო ბაიდენს და აკრიტიკებს ტრამპს უკრაინასთან დაკავშირებული პოლიტიკის გამო. მისი თქმით, „ბაიდენი საკუთარი გაწონასწორებული გადაწყვეტილებებით გვიჩვენებდა, რომელი იარაღი მიგვეცა უკრაინისთვის, რათა რუსეთს არ გაიმარჯვა. ჩვენც ფრთხილად ვმოქმედებდით“. ეს მართლაც ომის წაქეზების აღიარებაა.

საყოველთაო ინტერესს იწვევს აშშ-რუსეთის ურთიერთობა. სწორედ ამ ორ ქვეყანაზეა დამოკიდებული უკრაინაში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულება. ოვალურ კაბინეტში შესვლისთანავე, ტრამპს განზრახული ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. „არ მინდა, რუსეთს ზიანი მივაყენო. მე მიყვარს რუსი ხალხი და ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან“, — წერდა იგი სოცქსელებში ორი კვირის წინ. თუმცა, მიმომხილველები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ, რბილ გამონათქვამებთან ერთად, ტრამპი ხშირად მუქარაზეც გადადის.

თუმცა, რა ხდება პოლიტიკურ კულუარებში, ხშირად საიდუმლოდ რჩება. ამის დასტურია გასულ კვირას გამოცემა „ნიუ-იორკ პოსტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, სადაც, დონალდ ტრამპის თქმით, მას სატელეფონო საუბარი ჰქონდა ვლადიმირ პუტინთან. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ საუბრის ძირითადი თემა უკრაინა-რუსეთის შეიარაღებული კონფლიქტის დასრულება იყო. თუმცა, როცა ჰკითხეს, რამდენჯერ ესაუბრეთ პუტინსო, ტრამპს პასუხი არ გაუცია. კრემლში პრეზიდენტების საუბარი ვეღარ უარყვეს, მაგრამ დეტალებზე საუბარი აღარ გაუგრძელებიათ.

თეთრი სახლის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ პრეზიდენტს „კარგი გეგმა“ აქვს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დასრულების შესახებ. ტელეკომპანია ენ-ბი-სი-ს ინფორმაციით, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი რუსეთისა და უკრაინის საკითხებში კიტ კელლოგი და პრეზიდენტის მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში მაიკ უოლტცი რუსეთზე ზეწოლის გაძლიერებას მოითხოვენ, დანარჩენები კი უკრაინისთვის სამხედრო და ფინანსური დახმარების შემცირებას ემხრობიან. თავად დონალდ ტრამპმა არაერთხელ გამოთქვა სურვილი, პირადად შეხვდეს რუს კოლეგას. ცნობილია, რომ მისი გუნდი აქტიურად მუშაობს სამიტის ორგანიზებაზე. თუმცა, რუსეთის მხარე ამ საკითხზე არ საუბრობს.

რაც შეეხება უკრაინაში კონფლიქტის დასრულებას და შემდგომ დახმარებას აშშ-ის მხრიდან, ტრამპის განცხადებით, უკრაინამ ჯერ უნდა გადაიხადოს მიღებული შეიარაღების საფასური, თუნდაც ბუნებრივი წიაღისეულის ხარჯზე, რის შესახებაც აპირებს შეთანხმების გაფორმებას უკრაინულ მხარესთან. თუმცა, კიევში უკვე თანახმა არიან, შეასრულონ აშშ-ის ყველა მოთხოვნა. ქვეყანა ყველაფერს დაკარგავს და მისგან მხოლოდ „ძვალი და ტყავი“ დარჩება.

კორუფციისა და გაბერილი სახელმწიფო ხარჯების გამოსავლენად აქტიურ მუშაობას განაგრძობს ილონ მასკის ახალი ორგანიზაცია (სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის სამმართველო). მისი განცხადებით, „ქვეყნის ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად 100 მლრდ დოლარს უხდის დაუდგენელ პირებს“. ამიტომაც უწყებაში დაიწყება აუდიტი. დონალდ ტრამპი უახლოეს დღეებში დაავალებს მასკს, შეამოწმოს განათლებისა და თავდაცვის სამინისტროები, რათა გამოავლინონ ორგანიზაციებში თაღლითობის ფაქტები. თავის მხრივ, მასკი ითხოვს, დაიხუროს რადიომაუწყებლობები „ამერიკის ხმა“ და „რადიო თავისუფლება“. მისი განცხადებით, „ისინი შეშლილები არიან, ვისაც არავინ უსმენს“.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ დონალდ ტრამპმა აუკრძალა შესაბამის სამსახურებს ჯო ბაიდენისთვის საიდუმლო ინფორმაციის მიწოდება მისი მახსოვრობის დაქვეითების გამო. თუმცა, ამით არ შემოიფარგლა და აღარც ყოფილ სახელმწიფო მდივანს ენტონი ბლინკენს და უსაფრთხოების საკითხებში ბაიდენის მრჩეველს ჯეიკ სალივანს მიაწვდიან საიდუმლო ინფორმაციას. აშშ-ის კანონმდებლობით, ისინი უფლებამოსილები არიან, თანამდებობის დატოვების შემდეგაც მიიღონ საიდუმლო ინფორმაცია, მაგრამ...

და ბოლოს, კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: ტრამპი რეალურად მოწადინებულია შეაჩეროს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, უკრაინის უსაფრთხოების გარანტიები კი ევროპას დააკისროს. ამიტომაც შეშფოთდა ევროკავშირის ხელმძღვანელი ურსულა ფონ დერ ლაიენი და განაცხადა: „ევროპამ თავად უნდა იზრუნოს საკუთარ უსაფრთხოებაზე“. მიზეზი მარტივია, ევროპის ნებისმიერ ქვეყანას არ შეუძლია არათუ სხვა ქვეყნის, არამედ საკუთარი თავის დაცვაც კი...

ყოველივედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ისეთი დიდი ორგანიზაციები, როგორიც ნატო და ევროკავშირია, დონალდ ტრამპის მხარდაჭერის გარეშე, ადვილი შესაძლებელია, დაიშალოს. თუმცა, მსოფლიოს გლობალურ პოლიტიკაში შესაძლოა, ბევრი მოულოდნელობა მოხდეს. დაველოდოთ, რა მოხდება...

გია ბურდული

შვეიცარიული ბანკები და ჰიტლერის ოქრო

შვეიცარია უკვე 730 წელზე მეტია, დამოუკიდებელია, რამდენიმე საუკუნეა, არავისთან უომია და უზარმაზარი ქონებაც დააგროვა... მაგრამ, რას ნიშნავს, იყო ნეიტრალური?!

რატომ არ დაიპყრო ჰიტლერმა შვეიცარია?

იმიტომ, რომ ასე აწყობდა, რადგან ციურიხის, ჟენევის, ბაზელისა და ლუგანოს სეიფებში ფულს მსოფლიო ელიტა ინახავდა. აქვე გეგმავდნენ სხვადასხვა ქვეყნების დაზვერვის სამსახურები საიდუმლო ოპერაციებს. ამ ქვეყნის საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევა სტრატეგიული წარმატება იყო.

შვეიცარიის დაპყრობა ჰიტლერს დიდი ძალისხმევის გარეშე შეეძლო, მაგრამ ფიურერმა მიიჩნია, რომ შვეიცარია უფრო მეტ სარგებელს მოუტანდა, როგორც ნეიტრალური ქვეყანა, საქმე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან, მძლავრ და უპრინციპო ფინანსურ ორგანიზაციას, „საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკს“ ეხებოდა, რომელიც ბაზელში მდებარეობდა.

„ქორები“ და გამყიდველები

„საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი“ აშშ-ის ინიციატივით 1930 წელს შეიქმნა, დირექტორთა საბჭოში კი დიდი ბრიტანეთის, იტალიის, საფრანგეთის, ბელგიისა და გერმანიის საბანკო ელიტის წარმომადგენლები შევიდნენ.

თავიდან ბანკის მთავარი მიზანი გერმანელებისთვის ფრიად არასასიამოვნო პროცედურა — პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიისთვის დაკისრებული რეპარაციული გადახდების ტექნიკური უზრუნველყოფა იყო. მოგვიანებით დირექტორთა ინტერნაციონალურმა საბჭომ კონტროლი დაამყარა ბარიკადების ორივე მხარეს მყოფ საკვანძო საკრედიტო უწყებებზე, პოლიტიკა „ფეხებზე დაიკიდა“ და ფულის დაგროვება დაიწყო... 1930-1935 წლებში საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მეშვეობით გერმანიის მრეწველობამ აშშ-ის კორპორაციებისგან 1,5 მლრდ დოლარი მიიღო.

1938 წლის მარტში, როცა ჰიტლერელები ვენაში შევიდნენ, ავსტრიული ოქროს დიდმა ნაწილმა „საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის“ სეიფში გადაინაცვლა. იმ დროისთვის ამ ბანკის დირექტორი იყო ემილ პული, რომელიც შეთავსებით „რაიხსბანკის“ პრეზიდენტადაც გვევლინებოდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს სწორედ შვეიცარიის „საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი“ გახდა ინგლისის ბანკის, ამერიკის კაპიტალის (რომლის სათავეშიც მორგანის სახლი იდგა) და ნაცისტური რაიხსბანკის თანამშრომლობის საიმედო ადგილი.

გერმანიას შვედეთსა და სხვა ნეიტრალურ ქვეყნებში სხვადასხვა საქონლის შეძენა სჭირდებოდა, „საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი“ გერმანიისთვის ვალუტაზე ცვლიდა ოქროს, არამარტო დაპყრობილ ქვეყნებში, არამედ საკონცენტრაციო ბანაკებში მოპოვებულსაც. ცნობილია, რომ მარტო ოსვენციმიდან 8 ტონა ოქრო „მოიპოვეს“.

ბელგიის მთავრობამ ქვეყნის ოკუპაციამდე საფრანგეთში გაიტანა 288 მლნ დოლარის ეკვივალენტი ოქრო. თუმცა, ალექსანდრ გალოპინმა, რომელიც „საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკში“ ბელგიის წარმომადგენელი იყო, გაყიდა საკუთარი ქვეყანა და ოქრო „რაიხსბანკში“ „გადაამისამართა“.

საიდუმლო ქურდობა

შვეიცარიის დანარჩენი საბანკო საზოგადოებაც სიამოვნებით იღებდა შესანახად ფაშისტების ოქროს და სულაც არ აწუხებდათ, რომ გერმანული კონცერნი „Degussa“, ჰიმლერის უწყების მითითებით, ოქროს 20 კგ-იან ზოდებს საკონცენტრაციო ბანაკებში დახოცილი ებრაელებისა და სხვა ეროვნების პატიმრების კბილების ოქროს გვირგვინებისგან ამზადებდა.

როცა ბრძოლები ჩაცხრა, დასავლელმა მოკავშირეებმა, პირველ რიგში, ამერიკელებმა და ინგლისელებმა, გადაწყვიტეს, მიეთვისებინათ „ბინძური“ ოქრო, რომელიც შვეიცარიის ბანკების საცავებში ინახებოდა.

მოკავშირებს ძალიან გაუმართლა. როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში დაბალი ჩინის ოფიცრის სახით იმალებოდა სს-ის შტურმბანფიურერი ბრუნო მელმერი, რომელმაც იცოდა იმ ანგარიშის ნომერი და პაროლი, სადაც ნაცისტების მიერ ნაძარცვი ოქრო ინახებოდა. და რადგან ძვირფასი ლითონის მიწოდება პირდაპირ ბანაკებიდან ხორციელდებოდა, ეს იძლეოდა იმის საფუძველს, რომ შვეიცარიელი ბანკირები ფაშისტური რეჟიმის მხარდაჭერაში დაედანაშაულებინათ. მხილების შიშით, შვეიცარია იძულებული გახდა, გაყოფაზე დათანხმებოდა.

1946 წლის 25 მაისს ვაშინგტონში ხელი მოეწერა საიდუმლო შეთანხმებას აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის „შვეიცარიიდან იმ ოქროს დაბრუნების შესახებ, რომლებიც გერმანიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან უკანონოდ იყო გატანილი“.

250 მლნ ოქროს ფრანკი სამმაგი კომისიის ანგარიშებზე მოხვდა.

დიდ ბრიტანეთში შვეიცარიელმა ბანკირებმა საიდუმლოდ გადაზიდეს 40 მლნ გირვანქა სტერლინგის ღირებულების ოქრო, ამერიკულ ანგარიშებზე 197 მლნ გირვანქა სტერლინგის ღირებულების ოქრო მოხვდა. სწორედ ეს გახდა ევროპის აღსადგენად „მარშალის პროგრამით“ გამოყოფილი კრედიტის გირაო, თუმცა, ამერიკა ამტკიცებს, რომ ფული უანგაროდ გაიღო.

ამ შეთანხმების შედეგად, შვეიცარიელებს ნაძარცვის ორი მესამედი დარჩათ. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ შვეიცარიული ფრანკი თითქმის მთლიანად „კბილის“ ოქროთია ჩამოსხმული.

მხოლოდ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებში გავლენიანი ებრაული ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად, შვეიცარია იძულებული გახდა, კომპენსაციის სახით ებრაელებისთვის 14 მლრდ დოლარი გადაეხადა.

ომის შემდეგ გავრცელდა ჭორები, თითქოს ნაცისტებმა ყველაფრის გაყიდვა ვერ მოასწრეს და ნაწილი სამალავებში დამალეს. „ოქროს ციებ-ცხელება“ ევროპაში დღესაც გრძელდება. ავსტრიის ალპებში კვლავ ეძებენ ჰიტლერის ეშელონს, „კაიზეროდის“ მარილის შახტაში კი — რაიხსბანკის მარაგის ნარჩენებს. მაგრამ რეალური განძი, ისტორიკოსების აზრით, ტბა აიბზეეს მიდამოებშია დამალული...

2023 წლის ზაფხულში აშშ-ის სენატის საბიუჯეტო კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც შვეიცარიული ბანკი **Credit Suisse** ნაცისტებისა და მათთან დაკავშირებული ადამიანების ანგარიშებს მომსახურებას 2020 წლამდე უწევდა.

ვინ უხდიდა ხელფასს ნაცისტებს?

ნაცისტებთან თანამშრომლობა დასავლურმა კაპიტალმა ჯერ კიდევ 1930-იანი წლებიდან დაიწყო. ინგლისის ბანკი 1932 წელს აფინანსებდა ჰიტლერის საარჩევნო კამპანიას და, ხელისუფლებაში, ფაქტობრივად, მისი დახმარებით მოვიდა. გულუხვად აფინანსებდნენ ჰიტლერს მორგანებიც — აშშ-ის ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი ფინანსური ჯგუფი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბრიტანულ დაზვერვასთან.

„დასავლელი პარტნიორების“ დახმარება ნაცისტებისთვის მრავალმხრივი იყო. ერთი მხრივ, ამერიკულ-ბრიტანულმა კაპიტალმა გერმანიაში ღრმა ეკონომიკური კრიზისის ინსპირირება მოახდინა, რომლის შედეგადაც ჰიტლერის პოპულარობამ პიკს მიაღწია, რადგან იგი გერმანელებს ყველა პრობლემების მოკლე დროში მოგვარებას (უმუშევრობა, სიღარიბე) დაჰპირდა. მეორე მხრივ, ეს იყო ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის პირდაპირი სპონსორული მხარდაჭერა. ნაცისტური პარტიის ფუნქციონერები ხელფასს შვეიცარიიდან იღებდნენ.

1930 წელს ჰიტლერმა ბუნდესტაგის არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა და მისმა დამფინანსებლებმა დაიწყეს ფართომასშტაბიანი მუშაობა, რათა მას ძალაუფლება მთლიანად ჩაეგდო ხელში.

1932 წლის 4 იანვარს შედგა შეხვედრა ინგლისის ბანკის მმართველს მონტეგიუ მორგანს, ჰიტლერსა და მაშინდელ რაიხსკანცლერ ფონ პაპენს შორის, სადაც დაიდო საიდუმლო შეთანხმება ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

შეხვედრას ესწრებოდნენ ძმები — ალენ და ჯონ დალესები. ალენი დიდი ხნის განმავლობაში კურირებდა მესამე რაიხთან კავშირს და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. შემთხვევით როდი გაგზავნეს იგი ნაცისტებთან საიდუმლო შეხვედრაზე შვეიცარიაში. 1945 წლის 8 მარტს ციურიხში ამერიკის სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს კონსპირაციულ ბინაში (რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წინამორბედი იყო), ალენ დალესი, რომელიც ამერიკის სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს ევროპულ რეზიდენტურას ხელმძღვანელობდა, სს-ის უმნიშვნელოვანეს ფიგურას, გენერალ კარლ ვოლფს შეხვდა. საუბარი ჩრდილოეთ იტალიაში ვერმახტის შესაძლო კაპიტულაციას ეხებოდა.

1934 წელს გაფორმდა ინგლის-გერმანიის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, დიდი ბრიტანეთი დე-ფაქტო ფაშისტური გერმანიის მთავარი სავაჭრო პარტნიორი გახდა და უზრუნველყოფდა მისთვის სამხედრო ტექნიკისა და სხვა საჭირო ნივთებისა და მასალების მიწოდებას. 1938 წელს კი, მიუნხენის შეთქმულების შემდეგ, სწორედ ინგლისის ბანკი დაეხმარა ჰიტლერს ჩეხოსლოვაკიისთვის წართმეული ოქროს გაყიდვაში, რაც ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული საბანკო დოკუმენტებითაც დასტურდება. დღევანდელი შეფასებით, თანხა ერთ მლრდ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა.

ვის წინაალმდეგ დაიწყეს ნაცისტების დაფინანსება?

დასავლურმა კაპიტალმა გერმანიის მიმართულებით მას შემდეგ დაიწყო გადინება, რაც 1929 წელს სტალინმა ინგლისურ ოქროსმომპოვებელ კომპანია „ლენა გოლდფილსთან“ ტროცკის მიერ დადებული მძარცველური ხელშეკრულება გაწყვიტა. სწორედ „საბჭოთა კლონდაიკის“ დაკარგვის შემდეგ გადაწყვიტა ლონდონმა გერმანელი ნაცისტების დაფინანსება. მიზანი ნათელი იყო, მათი საშუალებით დაეპირისპირებინა გერმანია საბჭოთა კავშირისთვის და კვლავ ხელში ჩაეგდო ის, რაც სტალინმა წაართვა ანგლოსაქსურ კაპიტალს.

14 გვ.

ღია წერილი პარლამენტს



პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო.

ამბობენ: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს კი პირს უკანაო“. სიმართლის თქმა ჯობს ყოველთვის, რომ ყველასთან პირმართალი იყო.

ამისათვის მოკრძალებით გთავაზობთ, თუ რა ღონისძიებები უნდა გაატაროთ და რომელი კანონები მიიღოთ, რომ საქართველოს წაადგეს.

1. წარმოადგინეთ საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობის ეტაპობრივი გეგმა.

2. გაწევრიანდით „3+3“-ის ფორმატში, რადგან ეს საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა და ეკონომიკური აღმავლობის წინაპირობაა.

3. დაიწყეთ ნეიტრალიტეტზე მუშაობა. საქართველო სიტყვიერად კი არ უნდა იყოს ნეიტრალური, არამედ მსოფლიომ უნდა ცნოს და აღიაროს ნეიტრალურ სახელმწიფოდ.

4. გამოიცვალოს საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა და გერბი.

4.1. ამჟამინდელი დროშა უნდა ჩანაცვლდეს სხვა დროშით.

4.2. ამჟამინდელ გერბში, ლომის ბრჭყალებში ჩახატულია სამი ექვსიანი. ეს უნდა აღმოიფხვრას, რადგანაც ეზოთერიკულად უარყოფითი დატვირთვა აქვს.

4.3. წმინდა გიორგი უკან იყურება, იგი წინ, მომავლისკენ უნდა იყურებოდეს.

5. უნდა დააყენოთ საკითხი, რომ მსოფლიოს ყველა სახელმწიფომ საქართველო მოიხსენიოს „საქართველო“-დ და არა „ჯორჯიად“ ან „გრუზიად“. ეს საქართველოს იმიჯს აკნინებს.

6. თუ თქვენ მართლა გნებავთ, რომ პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ და მთლიანად სააკაშვილის ხროვა თავისი განშტოებებით გაასამართლოთ და სასჯელი მიუსაჯოთ, საჭიროა, კანონში შემდეგი ცვლილებები შევიდეს:

6.1. გაუქმდეს ხანდაზმულობის კანონი.

6.2. აღდგეს კანონი სამშობლოს ღალატის შესახებ.

7. ძირფესვიანად შეიცვალოს განათლების სისტემა.

7.1. მთლიანად შეიცვალოს განათლების მინისტრი და სამინისტროს თანამშრომლები.

7.2. განათლების მინისტრი პარტიული ნიშნით არ უნდა დაინიშნოს.

7.3. განათლების მინისტრი მოწვეული უნდა იყოს მეცნიერებათა აკადემიიდან, ან რომელიმე უმაღლესი სასწავლებლიდან.

8. უმაღლესი სასწავლებლები უნდა გახდეს უფასო, რადგან სტუდენტი სწავლაში ფულს რომ იხდის, ნორმალურად აღარ სწავლობს, ისედაც არანორმალურ სასწავლო პროგრამას.

9. აუცილებლად უნდა დაფინანსდეს სახელმწიფოსგან:

9.1. ჯანდაცვა.

9.2. განათლება.

9.3. საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია.

9.4. საქართველოს ეროვნული მწერალთა აკადემია.

9.5. საქართველოს ეროვნული მწერალთა კავშირი.

9.6. პრესა, მით უმეტეს, ლიტერატურული.

10. პენსიონერებს უნდა გაეზარდოთ პენსია შემდეგი ტარიფით:

10.1. პენსიის ასაკს მიღწეულ პიროვნებას დაენიშნოს 1000 ლარი (ქალბატონებს 55 წლიდან, მამაკაცებს 60 წლიდან).

10.2. 65 წლის მანდილოსანს და 70 წლის მამაკაცს პენსია გაეზარდოთ 2000 ლარამდე.

10.3. 75 წლის ქალბატონებს და 80 წლის მამაკაცებს პენსია გაეზარდოთ 3000 ლარამდე.

10.4. 85 წლის ქალბატონებს და 90 წლის მამაკაცებს გაეზარდოთ პენსია 7000 ლარამდე, რომელსაც სიკვდილამდე მიიღებენ.

11. კანონით აიკრძალოს:

11.1. საქართველოს არასამეურნეო და სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვა ან გასხვისება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეზე.

11.2. საქართველოს არასამეურნეო და სამეურნეო მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემა 5 წლის ვადით უცხო სახელმწიფოს მოქალაქეზე.

11.3. საქართველოს არასამეურნეო და სამეურნეო მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემისას უცხო სახელმწიფო მოქალაქეს აეკრძალოს ფუნდამენტური შენობა-ნაგებობის აშნება, მან უნდა ჩადგას ნაკვეთში მსუბუქი კონსტრუქციის არაუმეტეს სამი ოთახი.

12. საქართველოში დაბადებულ ბავშვს, რომელსაც ჰყავს უცხო სახელმწიფოს მოქალაქე მშობლები:

12.1. თექვსმეტი წლის ასაკის შესრულებისას მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა.

12.2. მოზარდს იმ პირობით მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა, თუ მას დამთავრებული ექნება ქართული სკოლა და თავისუფლად იმეტყველებს ქართულად.

13. გამომდინარე დემოგრაფიული კრიზისიდან, ნაღდ, აბორიგენ საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდებს, ახალდაქორწინებულ წყვილებს მიეცეთ 10 000 (ათი ათასი) ლარი წამახალისებელი ფულადი საჩუქარი და ერთოთახიანი ბინა ახალაშენებულ კორპუსში ქალაქად, სოფლად კი რაიონის საკრებულომ ჩაუდგას მსუბუქი კონსტრუქციის ერთოთახიანი ბინა, იქ, სადაც წყვილი მოითხოვს.

გიორგი თედეევი-თედეთი
საქართველოს მოქალაქე, ქართველთა, ოსთა და აფხაზთა თანამეგობრობის კავშირის თანადამფუძნებელი და ვიცე პრეზიდენტი.
საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრი.
ალმანახ ამერ-იმერის თანადირექტორი.
ჭაბუა ამირეჯიბის სახელობის დიპლომის მფლობელი.

04.202.2025წ. ®

შვეიცარიული ბანკები და ჰიტლერის ოქრო

13 გვ.

სტალინს რომ მათთვის დიპლომატიურ თამაშში არ ეჯობნა და 1939 წელს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი არ დადებულიყო, დასავლეთის სახელმწიფოები და გერმანია ერთად დაესხმოდნენ თავს საბჭოთა კავშირს და ომის შედეგების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იქნებოდა.

ბრიტანელებმა დანახარჯები სრულად დაიბრუნეს. გერმანიას რომ საბჭოთა კავშირი დაემარცხებინა, ამ ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენტების რაოდენობა ბევრად მეტი იქნებოდა, მაგრამ მოკავშირეები წაგებული მაინც არ დარჩენილან. მაგალითად, „მარშალის გეგმის“ შედეგად, ამერიკამ ევროპაზე კონტროლი მოიპოვა, რომელმაც, ისევე, როგორც გერმანიამ, სრულიად დაკარგა სუვერენიტეტი.

დასავლური ბანკებისა და მათი წარმომადგენლების ნაცისტებთან კავშირების შესახებ ახალ საიდუმლოებებს, ალბათ, ვეღარასოდეს შევიტყობთ...

ბელა გველესიანი

იურიდიული რჩევები

თქვენს შეკითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

- საგადასახადო ორგანომ არასწორად დამაკისრა საურავი, დამიყადაღა ქონება, როგორ მოვიქცე?

- იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ საგადასახადო ორგანომ არასწორად დაგაკისრათ ჯარიმა და საურავი, თქვენ უფლება გაქვთ, მიმართოთ წერილობით საგადასახადო ორგანოს დავების განხილვის საბჭოს, მათ შორის, ელექტრონულადაც. დავების განხილვის საბჭო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგადასახადო, საბაჟო დავის განმხილველი ორგანო.

●

- რა პროცედურები უნდა გავიარო იმისათვის, რომ საგადასახადოში გავასაჩივრო ჩემი პრეტენზია?

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის **297-ე მუხლის მე-3** ნაწილის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავა ორეტაპიანია და იწყება საჩივრის შემოსავლების სამსახურში წარდგენით. ან პირდაპირ ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოში, ხოლო ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.

●

- სად საჩივრდება შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება თუ არ დამიკმაყოფილდა პრეტენზია?

- შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივნისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მომჩივანს უფლება აქვს, გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს დავების განხილვის საბჭოში, სადაც მომჩივანი ვალდებულია, გასაჩივრებისთვის კონკრეტული წესები დაიცვას. კერძოდ, თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს, მომჩივანს წერილობით ეცნობება ამის შესახებ და მიეცემა არანაკლებ 5 დღე საჩივარში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად. დავის განმხილველ ორგანოს უფლება აქვს, მომჩივნის მოტივირებული მოთხოვნის შემთხვევაში, გააგრძელოს ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა.

●

- მსურს მოვურიგდე საგადასახადო ორგანოს, ჯარიმის შემცირების მიზნით დავდო შეთანხმება ,რადგან დაყადაღებული მაქვს ანგარიშები. როგორ უნდა მოვიქცე?

- ასეთ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ საგადასახადო ორგანოს წერილობით შეთანხმების დადების მიზნით და განმხილველი ორგანო გაგიფორმებთ წერილობით შეთანხმებას, რის ფარგლებშიც მოგეხსნებათ ყადაღა.

●

- დამეკისრება თუ არა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როცა სასამართლოში დავა საგადასახადოს წინააღმდეგ მიმდინარეობს?

- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება ორ შემთხვევაში.

1. როდესაც ბიუჯეტის მიმართ დავალიანება შესაძლოა, არსებობს, როგორც გადამხდელის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე დარიცხული თანხების გადაუხდელობით,

2. აგრეთვე, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარატმენტის მიერ განხორციელებული საგადასახადო შემოწმების აქტისა და მის საფუძველზე გამოცემული საგადასახადო მოთხოვნის გადაუხდელობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვრცელდება მხოლოდ აუდიტის დეპარატმენტის მიერ ჩატარებული საგადასახადო შემოწმების საფუძველზე გამოვლენილი ვალდებულებების შემთხვევაში, თუ დადგინდება გადამხდელის განზრახვა, რომ მას სურდა, თავი აერიდებინა გადასახადისათვის . თუ არ დგინდება თქვენი განზრახვა, რომ ბიუჯეტისათვის გსურდათ თანხის დამალვა, სისხლის სამართლებრივი პასუხსიმგებლობა არ დადგება

●

- სახელმწიფო ორგანომ ჩამხსნა ტენდერიდან იმის გამო, რომ დავა მაქვს აკრედიტაციის ცენტრთან სასამართლოში. რას მირჩევთ?

- ასეთ შემთხვევაში თქვენი პრეტენზია უნდა გაასაჩივროთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში და მიუთითოთ **„კონკურენციის შესახებ კანონის“ მე-10 მუხლის** შესახებ, რა დროსაც არ შეიძლება ორგანიზაციის ტენდერში მონაწილეობაზე უარის თქმა, როდესაც დავა მიმდინარეობს სასამართლოში. პარალელურად, შეგიძლიათ მიმართოთ კონკურენციის სააგენტოსაც.

ტელ: 555 75-04-45

გთხოვთ, შეკითხვები გამოაგზავნოთ გაზეთის ელექტრონულ ფოსტაზე: saertogazeti@yahoo.com

გავხალისდეთ, თან გონებაც გავავარჯიშოთ ქეთინო ბექაურთან ერთად!

ქეთინო ეჭვობდა, ამას ვინ წაიკითხავსო, მაგრამ პირადად მე ისე გამართო, ვფიქრობ, თქვენც გახალისდებით...

სახალისო გვერდი

გთავაზობთ თანამედროვე ენით გადმოცემულ ქართულ ანდაზებს და დასახმარებლად რამდენიმე თავსატეხს მინიშნების სახით ფოტოებს დავურთავთ. 1. ბუნებრივი მოვლენა, როგორც მოტანის უსარგებლო სერვისი.

2. იდენტური ნაკლის მქონე თანამოძმის დისკრედიტაცია ამავე ნაკლის წამოძახებით.

3. საკვებით დასაჩუქრების ტრადიცია თანამოძმეში დადებითი ემოციის გამოწვევის მიზნით.

4. უკონტროლო დედობრივი სიყვარულის გამოხატვის ლეტალური დასასრული.

5. ოჯახის ახალმა წევრმა თავისი დაბალი კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობის დარში, რელიეფს დააბრალა.

6. სასარგებლო ბიოპროდუქტის არსებობის შემთხვევაში, უსარგებლო მწერი აზიიდან მოფრინდება.

7. ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პირი, ოჯახის შექმნისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე მიდიოდა, ამტკიცებდა რა, ამ უკანასკნელის უპირატესობას საკუთარ სახლთან შედარებით.

8. მცირე ზომის მღრღნელი ფიზიკურ აქტივობას აქტივობაზე ატარებდა, ვიდრე მოსისხლე ოპონენტის პირისპირ არ აღმოჩნდა.

9. ფაუნის წარმომადგენელმა, თვითმხილველის რანგში, საკუთარი წანაზარდი წარმოადგინა.

10. საკუთარი ინტერესების პირველ რიგში დაყენება პირველი რიგის მემკვიდრეებთან შედარებით.



11. დადებითი მემკვიდრე ერთ-ერთი მშობლის მნიშვნელოვანი ორგანოს სურნელოვანი მცენარეა.

12. როდესაც ერთ მშრომელ შინაურ ცხოველს წარმოდგენა არ გააჩნია აღმოსავლური ხილის ერთ-ერთ სახეობაზე.

13. როდესაც ჰომოსაპიენსი საკუთარ ცხოველებს ბანკებში ინახავს, ეს ბანკი ინფლაციურ ეკონომიკაში ინვესტიციად ითვლება.

14. ბრომეთეს პროტოტიპი კარდიოლოგიურად ასრულებდა მუსიკალურ ნაწარმოებს და ბანის აკომპანიმენტს ითხოვდა.

15. როდესაც უცხო თემის წარმომადგენელი უცხო თემის წარმომადგენლის სისხლიან დაპირისპირებაში პლატონია.

16. ვიტამინებით მდიდარი პროდუქტი ისე მიიღე საკვებად, რომ მწარმოებლის ვინაობით არ დაინტერესდე.

17. ხანდაზმული შინაური ცხოველის რქოვანი წანაზარდებიც კი გამწევი ძალაა.

18. წინაპრის მირთმეულმა მჟავე ხილმა შთამომავალს გაუჩინა კარიესი.

19. პროსტიტუციით დაკავებული ქალის შვილის მეუღლე იგივე საქმიანობით არ დაკავდება.

20. სახედრის მადლის დისკრედიტაცია სკაბრეზული სიტყვით.

21. ანორექსიული სახედრის იძულება, შეასრულოს რაიმე სახის სამუშაო, პერსპექტივაში სანიმუშო საკვების დაპირების გზით.

22. ადამიანი ყოველთვის იპოვის ისეთ ადამიანს, რომელიც აკმაყოფილებს მისთვის მისაღებ პარამეტრებს.

23. მრევლის სიმპათიების გაყოფა სასულიერო პირსა და მის თანამეცხედრეს შორის.

24. როდესაც შენთან ახლოს დასახლებული ადამიანი შენი ცოდნაა ოპტიკური თვალსაზრისით.

25. სხვის მხედველობის ორგანოში დიდი სამშენებლო მასალის დანახვა და საკუთარში ხის უმნიშვნელო ნაწილის ვერშემჩნევა.

26. როდესაც მტაცებელ ცხოველს მნიშვნელოვან სასულიერო ლიტერატურას უკითხავენ, ის კი საკვების დაკარგვას განიცდის.

27. ქვეყანაში, სადაც ორატორი არ ჰყავთ, უცხო ქვეყნის მოქალაქეს აიძულებენ სიტყვით გამოსვლა.

28. ბრძოლა ბოლოს ბრძოლა.

29. ბრძოლა ბოლოს ბრძოლა.

30. ბრძოლა ბოლოს ბრძოლა.

31. ბრძოლა ბოლოს ბრძოლა.

32. როდესაც ნაბეჭდი პროდუქციის უკანონოდ მიმთვისებელი კრიმინალი არ არის.

33. წარსულში გადასული ადამიანი ასევე წარსულში გადასულ ადამიანს ტვირთად რომ დააწვება და კონკრეტულ მისამართზე მიყვანას სთხოვს.

34. როდესაც ციდან წყალი წამოვიდა ძალიან მყარ მდგომარეობაში, მაგრამ ძირს უფრო მყარი ნიდაგი დახვდა.

35. ქვედა კიდურებზე რომ გკიდია ერთ-ერთი ახლადშემოსული ხილის ფასი, რომელიც 50 ცენტის ფარგლებში მერყეობს.

36. ოჯახის წევრს რომ მიმართავენ ახლადშემოსული წევრის გასაგონად და ორივე წევრი რომ ქალია.

37. ერთი ერთეული ადამიანის კვების პროცესი რომ სიბრალულის გრძნობას აღგიძრავს.

38. შენობის ზედა ნაწილს რომ მოუწოდებ, დადებითი ემოციები

გამოხატოს და შენთან დაპირისპირებულ ადამიანს კი ფატალურ დასასრულს უსურვებ.

39. ერთი მშრომელი შინაური ცხოველის მემკვიდრე საკუთარი ინიციალებიდან ერთი-ერთზე აკრობატულ ილეთებს რომ ასრულებს.

40. შინაურმა ფრთოსანმა წყურვილი რომ დაიკმაყოფილა და მამაზეციერისკენ მიმართა მზერა.

41. დახარისხების მეთოდი კონკრეტული ნაწარმოების ბოლოს, როდესაც შენ სადაც იმყოფები, იმ ლოკაციაზე ყოველთვის კარგს ინდომებ და სადაც არ ხარ — ცუდს.

42. როდესაც სხვისი ტრაგედია იგივეა, რაც შენი ეზოს შემოკავების ობიექტზე გაჩრილი პატარა ნივთი.

43. საკვების მიღებისას პატარა ულუფა საჭირო ადგილს რომ ასცდება და შენსავე ჭურჭელში აღმოჩნდება.

44. ერთ მოიისფრო ბოსტნეულს საფრენი ორგანოები რომ ჰქონდეს, ორნიტოლოგიის ის წარმომადგენელი იქნებოდა, მარტოს რომ ვერ მოჰყავს წელიწადის ერთი კონკრეტული დრო (აქ ორი ანდაზაა გაერთიანებული).

45. ცხოველი, რომელსაც ნახევარი მსოფლიო არ ჭამს, თავის კომფორტულ ადგილზე მოათავსეს და მან იმდენი მოახერხა, რომ მაინც თხევად ანტისანიტარიაში აღმოჩნდა.

46. ერთი სახეობის უსარგებლო და მომაბეზრებელი მწერები რომ სკანდირებენ მომაბეზრებლად, მაგრამ ყველაზე სასარგებლო მწერთან ახლოსაც რომ ვერ მივლენ.

47. ცუდი ახლოსმცხოვრების პანდემია რომ შენთვის გინდა და კარგზე აღარაფერს აკონკრეტებ.

48. როდესაც აცხადებ, რომ შენზე პროდუქტიულმა არსებამ მოგაყენოს ფიზიკური დაზიანება.

რამდენად გაერთეთ „ქეთინოს ანდაზებით“, არ ვიცი, მაგრამ მე კიდევ ერთხელ ვკითხულობდი მომღიმარი და ჩემდაუნებურად, ჩამითრია. სახელდახელოდ რაც გამახსენდა, მეც „ვთარგმნე“, რომელთაც სხვა დროს შემოგთავაზებთ.

„თბილისი ყველას აერთიანებს“

"ნდობა და რეპუტაცია"
გამოიცა
გამომცემლობამ "საერთო გაზეთი"
"ახალი ეკონომიკის, განათლების, კულტურის, ეროვნული ფასეულობების, ბუნებრივი რესურსების, ადამიანური კაپიტალის, ბიზნესის, ინოვაციების, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიის, ენერგეტიკის, ფინანსების, ეროვნული უსაფრთხოების, ადგილობრივი ინიციატივების, ადამიანური ფასეულობ